საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 180 (982) | შაბათი, 8 ოქტომბერი, 1994 წელი. | ფასი 100000 კუპონი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

იმის მიუხედავად, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის ძირითადი საფუძველი ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმების განუხრელი დაცვაა, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ადამიანის უფლებათა დაცვის სრულყოფილი სისტემის შექმნა და ამოქმედება. რესპუბლიკაში მძიმე ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კრიმინოგენულ ვითარებას ხელს უწყობს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში არსებული გულგრილობისა და დაუსჯელობის ატმოსფერო. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა ძალადობისა და მძევლად აყვანის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ადამიანის უფლებების დარღვევის, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესებისა და შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობის, მოქალაქეთა მიმართვების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ზერელე დამოკიდებულების ფაქტები.

(დასასრული მე-2 გვ.)

ბუტროს ბუტროს გალი გაეროს გენერალური მდივნის მიმართვა მსოფლიო ჰაბიტატის დღესთან დაკავშირებით

8 ოქტომბერი, 1994

დღეს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მასობრივი მიგრაცია და შედეგად, ურბანული დასახლებების ფენომენალური ზრდა. ოცდამეერთე საუკუნისათვის მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქალაქებში იცხოვრებს.

სწორედ ურბანულ დასახლებებში გამოჩნდა ყველაზე ცხადად ჩვენი დროის სასწრაფო გლობალურ პრობლემებს შორის არსებული შინაგანი კავშირები. ბავშვების უფლებები, გარემოს დაცვა, სტიქიური კატასტროფები, მოსახლეობა, სოციალური განვითარება, ქალთა უფლებები — ყოველ ამ პრობლემას ეთმობა ან დაეთმობა სპეციალური ყურადღება გაეროს მიერ მოწვეულ მსოფლიო კონფერენციაზე, მაგრამ ერთად ისინი მოიცავენ ჩვენს წინ მდგარი ყველაზე დიდი გლობალური პრობლემის — განვითარების პრობლემის — სხვადასხვა განზომილებებს.

დღევანდელ მსოფლიოში განვითარების პრობლემა გადაიქცა ურბანული დასახლებების პრობლემად. ეს იქნება ყურადღების საგანი ადამიანთა დასახლებების გაეროს კონფერენციაზე (ჰაბიტატი მე-2), რომელიც ჩატარდება სტამბოლში 1996 წლის ივლისში. ჰაბიტატი მე-2 იქნება უკანასკნელი გლობალურ კონფერენციათა ამ სერიაში — ანუ საბოლოო ეტაპი მიმდინარე დემოკრატიულ პროცესში, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა ილტვის განვითარების ახალ ხედვაზე კონსენსუსის მისაღწევად და ამ მიმართულებით გლობალური სამოქმედო გეგმის შესაქმნელად.

დღეს, მსოფლიო ჰაბიტატის დღეს, როცა ჩვენ ვფიქრობთ ყველასათვის სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებებზე, მე მოვუწოდებ მსოფლიო საზოგადოებრიობას, გამოიყენოს კონფერენციის შედეგად მოცემული ეს საშუალება, რათა უფრო მასშტაბურად და უფრო ჰუმანურად მივუდგეთ სიცოცხლის საკითხს მომავალ საუკუნეში.

ედუარდ შევარდნაძეს გადაეცა გერმანია-საქართველოს საარქივო დოკუმენტები

6 ოქტომბერს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი კულტურის საკითხებში ქალბატონი უილტრუდ ჰოლიკი. მან ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი საარქივო მასალები — 1889 წლიდან 1925 წლამდე დიპლომატიური მიმოწერის დოკუმენტები. მათში არის როგორც საიდუმლო, ასევე სრულიად საიდუმლო მიმოწერის მასალები.

— ეს დოკუმენტები, — თქვა ქალბატონმა უილტრუდ ჰოლიკმა, — ამოღებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, რომელიც მოიძია ქართველმა მეცნიერმა ია თიკანაძემ. ეს არის ნამდვილი განძი ქართველი მეცნიერებისათვის. აქ წარმოჩენილია ის, რაც საქართველომ გაიტანა მისი თავისთავადობის დამკვიდრებისათვის განვლილ ეტაპზე.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა ამ კეთილშობილურ მისიას, დიდი მადლობა გადაუხადა გერმანელ სტუმარს ძვირფასი განძისათვის.

— მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ კულტურის სფეროში გერმანიასა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა საინტერესო ურთიერთობა. ეს ეხება ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების დარგებს. ეს არის ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განმტკიცების, ურთიერთობის ერთ-ერთი გზა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გიუნტერ დალჰოფის როლი ამ საქმეში.

რაც შეეხება დოკუმენტებს, ეს უდაოდ ძვირფასი საჩუქარია საქართველოსთვის. მთელი ეს 23 საუკუნე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა, რის შესახებაც დოკუმენტები გაფანტულია სხვადასხვა სახელმწიფოებში. ახლა დადგა დრო, როცა შეგვიძლია ხელი მიგვიწვდეს ამ საუნჯისათვის. ის, რასაც თქვენ ახლა გვთავაზობთ, ამ ისტორიის ერთი მონაკვეთია. თქვენმა მთავრობამ მაგალითი უჩვენა მსოფლიოს, თუ როგორ შეიძლება დაეხმარონ საქართველოს ამ მძიმე ვითარების დროს.

შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი.

• • •

სურათზე: საარქივო დოკუმენტების გადაცემის დროს.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველო შეიძლება გახდეს ევროპის საბჭოს წევრი

როგორც საქინფორმს აცნობა ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ, სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განიხილა ევროპის „გაფართოებისა“ და დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის ინტეგრირების პერსპექტივები.

აღინიშნა, რომ „ევროპასთან ძველი კულტურული კავშირების გათვალისწინებით“, საქართველო შეიძლება გახდეს ევროპის საბჭოს წევრი, როგორც ევროპის ფარგლებში განლაგებული სახელმწიფო.

ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავისათვის



დიდი მაგალითი

დღეს ჩვენ დიდი მოაზროვნის, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოამაგის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავს აღვნიშნავთ.

ნიკო ნიკოლაძე იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ერის სულიერი, კულტურული და მატერიალური აღორძინებისათვის, სათავეში ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ნიკო ნიკოლაძის ნათელი კვალი ატყვია ჩვენს თანამედროვეობას, ხოლო ჩვენი მომავალი ჩვენს აწმყოში ნიკო ნიკოლაძის იდეებითაც არის ჩაფესვილი.

სავსებით კანონზომიერი და სიმბოლურია, რომ მძიმე კრიზისისა და ძნელბედობის ჟამს, დღევანდელი საქართველო თავის დიდ წინაპარს იხსენებს.

ნიკო ნიკოლაძე იშვიათი, ენციკლოპედიური განათლებისა და უშრეტი შემოქმედებითი ენერგიის მოღვაწე იყო. ის ღრმად იცნობდა მისი ეპოქის ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, პოლიტიკურ იდეებს, შემოქმედებითად განავითარებდა მათ თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, ქმნიდა ახალ სულიერ ღირებულებებს და ერის კულტურა, ცნობიერება, თვითშეგნება აჰყავდა კაცობრიობის მონაპოვართა დონეზე. ის ევროპას აცნობდა ქართულ ცივილიზაციასა და კულტურას, საქართველოს—ევროპის ცივილიზაციას აზიარებდა. მან დიდი როლი შეასრულა ევროპაში — პარიზში, ციურიხში, ჟენევაში, ლონდონში ქართული კულტურის გავრცელებაში.

ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძეს პირადი ურთიერთობა, ნაცნობობა, მეგობრობა აკავშირებდა იმდროინდელი ევროპის, მაშინდელი რუსეთის გამოჩენილ მწერლებთან, მეცნიერებთან, ფილოსოფოსებთან, პოლიტიკოსებთან. ჰქონდა მათთან ნაყოფიერი დიალოგები, მიმოწერა, დისკუსიები.

მან დატოვა დიდი მნიშვნელობის მემკვიდრეობა.

კლასიკოსებს ყველა თაობა და ყველა საუკუნე თავისი თვალებით, ახლებურად, ახალი რაკურსით კითხულობს.

საჭიროა ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოს მოქალაქეთათვის.

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ილვწოდეს ქართველი მამულიშვილი, დემოკრატი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი მოღვაწე ერისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ქართული იდეალების გამარჯვებისათვის.

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნება ეროვნული იდეების ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე ამაღლებისა და მათი ლოგიკური ურთიერთშერწყმის შესანიშნავი მაგალითია.

საკმარისია გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის დისერტაცია „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები“, რომელიც მან ციურიხში დაიცვა და ჟენევაში ცალკე წიგნად გამოსცა. ის დისერტაცია და მასში ჩამოყალიბებული დებულებები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას და საოცრად ეხმიანებიან თვით გაეროს, ევროთათბირის პრინციპებსა და პოსტულატებს ომისა და მშვიდობის, კონფლიქტთა დაძლევის თეორიისა და საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევის სფეროში, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის დარგში, ეს მისი „ნაშრომი“ მე არაერთხელ გადამითვალიერებია გაეროში გამოსვლების თუ სხვა საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობის დროს.

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს, ერს თანამედროვე ჰუმანისტი, დემოკრატი, მწერალი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორი.

მე მაოცებს ნიკო ნიკოლაძის კოლოსალური, საოცრად ნაყოფიერი მოღვაწეობა: ის თბილისში აარსებს ჟურნალ „კრებულს“, გაზეთებს: „ობზორს“ და „ნოვოე ობოზრენიეს“, პარიზში — ქართულ ჟურნალ „დროშას“, ჟენევაში ჟურნალ „სოვრემენნოსტს“, სანქტ-პეტერბურგში რედაქტორობს „ნაროდნოე ბოგატსტვოს“, ლონდონში თანამშრომლობს გერცენისა და ოგარიოვის „კოლოკოლში“, არის „სანქტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ პარიზელი თანამშრომელი, აქვეყნებს წერილებს ნეკრასოვის „სოვრემენნიკსა“ და ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“. შვეიცარიაში სცემს ჩერნიშევსკის თხზულებებს... და მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზე წერს და იბეჭდება, ყველგან და ყველაფერში ფეთქავს მისი უკვდავი ქართული სული.

ნიკო ნიკოლაძე ცხოვრების ფილოსოფიით პრაგმატიკოსი იყო. ის აარსებდა არა მარტო გაზეთებს, ჟურნალებს — თბილისში, პეტერბურგში, ჟენევაში, პარიზში და არა მხოლოდ რედაქტორობდა მათ, არამედ ეწეოდა დიდ პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ეკონომიკის სფეროში.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო ერის გადარჩენაში ეკონომიკის აღორძინების გადამწყვეტი მნიშვნელობა და სათავეში ჩაუდგა ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის აღმშენებლობას.

მან ამ დარგშიც წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში, საოცარი ინტუიციით იგრძნო ფოთისა და მისი ნავსადგურის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ამ თვალსაზრისითაც ნიკო ნიკოლაძე ჩვენი თანამედროვეა. ფოთი და მისი ნავსადგური დღესაც საერთაშორისო ეკონომიკურ და სატრანსპორტო პროექტებშია ჩართული, თვით „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის“ ცნობილ სისტემაში.

ის, რაც ფოთში გააკეთა ნიკო ნიკოლაძემ იმ დროისათვის იყო დიდი ეკონომიკური და სამრეწველო ექსპერიმენტი. იქნებ ბევრს გაუკვირდეს ეს შედარება, მაგრამ მაინც ვიტყვი, გარკვეულწილად ამ საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს მიერ განხორციელებული ფოთის ექსპერიმენტი ნიკო ნიკოლაძის იდეებითა და პირადი მაგალითითაც იყო შთაგონებული. ნიკო ნიკოლაძე პარიზში ეძებდა ინვესტიციებს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების ასამუშავებლად.

მეთაურობდა ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებას საზღვარგარეთ, ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა მისი ინიციატივა და ექსპერიმენტი. ის ერთნაირი გატაცებით ქმნიდა სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს.

ბევრმა იქნებ დღეს არც იცის, რომ ნიკო ნიკოლაძემ უდიდესი ამაგი დასდო ამიერკავკასიის რკინიგზის, თბილისის წყალსადენის და მრავალი სხვა „პროზაული“, პრაქტიკული საქმეების ხორცშესხმას. დღესაც ინტერესმოკლებული არაა მის მიერ გამოთქმული აზრი გროზნო-ფოთის ნავთსადენის მშენებლობის შესახებ.

წინაპართა ამაგი არ უნდა დავივიწყოთ.

ნიკო ნიკოლაძე იყო ჭეშმარიტად ახალი ადამიანი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში — სულით ხორცამდე ქართველი, ცხოვრებისა და საქმიანობის ევროპული ყაიდით, ტოლერანტული თავისი შინაგანი ბუნებით.

კაცი გამორჩეული ნიჭით, გონებით, ცოდნით, რეალობის მძაფრი შეგრძნებით და მომავლის განჭვრეტის შესაშური უნარით. როგორ ჰაერივით სჭირდება დღევანდელ საქართველოს ასეთი ადამიანები!!!

ნიკო ნიკოლაძე გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ ერის გადასარჩენად ბანკი გახსნა და ფინანსებს მოჰკიდა ხელი, ხოლო აკაკი წერეთელი ჭიათურის მანგანუმის მაღაროს შექმნას და ამუშავებას ცდილობდა...

ამ კლასიკურ, ისტორიულ მაგალითებს ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს ყველა ჩვენთაგანი, ქალაქის მერი, ბანკირი, ფინანსისტი, პარლამენტარი, მოქალაქე...

ნიკო ნიკოლაძე ცხოვრობდა ორი სასტიკი და მრისხანე საუკუნის მიჯნაზე, ისტორიული ქარტეხილების დროს, ცარიზმის, რუსეთის ე. წ. სამი რევოლუციის პერიოდში, მენშევიკურ საქართველოში, ბოლშევიკურ საქართველოში. იყო გადასახლებაში, ემიგრაციაში, იჯდა პეტერბურგის ციხეში, ცხოვრობდა საქართველოში, როცა ის ცარიზმის იმპერიის ორ გუბერნიას წარმოადგენდა, იმ პერიოდში, როცა აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მას არასოდეს დაუკარგავს სწორი ორიენტირი, შორსმჭვრეტელობა, ყველა ეპოქაში დიდ ქართულ ეროვნულ საქმეებს აკეთებდა, ერისთვის ყოველთვის საჭირო კაცი იყო, განზე არ გამდგარა, წუწუნი არ დაუწყია, უკეთეს დროს არ დალოდებია. რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მით უფრო ძლიერი ენერგიით ემსახურებოდა თავის ხალხს.

როგორც იტყვიან, ცხოვრების ყველა ზვირთში ერია.

ნიკო ნიკოლაძე დიდი ილია ჭავჭავაძის ოპონენტი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ილია ჭავჭავაძეზე შესანიშნავი, ობიექტური ლიტერატურული ნაშრომები გამოექვეყნებია.

მე დღეს ნება მივეცი ჩემ თავს, რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩვენი ხალხის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მოღვაწეზე, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ხაზი გამესვა დიდი მაგალითის მნიშვნელობისთვის ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე. დარწმუნებული ვარ, ეს დიდი მაგალითიც მოგვანიჭებს ძალას, შეგვმატებს ენერგიას, რათა ხორცი შევასხათ დიდ წინაპართა ოცნებას, ახალ თაობებს დაუტოვოთ ერთიანი, განუყოფელი, და აყვავებული სამშობლო. მჯერა ეს ასე იქნება. ასე სჯეროდა ნიკო ნიკოლაძესაც.

ედუარდ შევარდნაძე.

ჩვენი მარადიული თანამედროვე

ჩვენი დიდი წინაპრისა და მარადიული თანამედროვის — ნიკო ნიკოლაძის ლანდი, რომელიც მთაწმინდიდან დაგვცქერის, უთუოდ გვაპატიებს, რომ მისი დაბადების ასორმოცდამეათე წლისთავს ერთი წლის დაგვიანებით აღვნიშნავთ. ეს თარიღი უნდა აღნიშნულიყო და აღინიშნება კიდეც ჩვენი დღევანდელი ძნელბედობის მიუხედავად და, შესაძლოა, ამ ძნელბედობის გამოც, რადგან სწორედ ნიკო ნიკოლაძესთან, მის ნაწერებში, მის ნააზრევში, მის ნაღვაწში ვპოულობთ ჩვენ პასუხს დღევანდელობის ყველაზე სასიცოცხლო კითხვებზე.

ნიკო ნიკოლაძის მწერლურ და ადამიანურ იერს მისი ერთი აღსარება წარმოგვისახავს: „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისათვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავათ თუ კარგათ, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: ...შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“. („სალამი“, 1876 წ.).

ამ აღსარებაში იგრძნობა ის შინაგანი ღირსებაც, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 33 წლის ნიკო ნიკოლაძეს მისი მოღვაწეობის თავბრუდამხვევმა დასაწყისმა განუმტკიცა და თავისი დანიშნულების ის გაცნობიერებაც, რომელიც ესოდენ ანათესავებს მის „სალამს“ ილიას „მგზავრის წერილებთან“.

ნიკო ნიკოლაძემ (უნდა ითქვას, არაჩვეულებრივი პიროვნული ხიბლის წყალობითაც) ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მისი „ერთი ნამცეცა ქვეყანა“ და „ყველასაგან უცნობი ხალხი“ (ეს მისივე გამოთქმებია) ღირსეულად წარედგინა რუსეთის იმპერიაშიც და იმდროინდელ ევროპაშიც. მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიწერ-მოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან და ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან და ემილ ზოლასთან, ლუი ბლანთან და ემილ ჟირარდენთან, ჟან ჟორესთან და პოლ ლაფარგთან. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის სიმამრმა — კარლ მარქსმა ნიკოლაძეს შესთავაზა პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო ამიერკავკასიაში, რაზეც დელიკატური უარი მიიღო.

ნიკო ნიკოლაძის უშრეტი ენერგია არ სცნობდა არანაირ საზღვრებს: ჟენევაში 1868 წელს გამოცემული მისი სადიპლომო ნაშრომი (მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ) — „განიარაღება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“ დღესაც კი ინტერესს იწვევს; ჟენევაშივე, 1873 წელს, მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი“; ამავე წელს პარიზში იგი ამხანაგებთან ერთად უშვებს ქართულ გაზეთს „დროშა“. პარიზშივე, 1875 წელს, ნიკოლაძემ ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი — „დეკადენტური პრესა. უცხოელი ჟურნალისტის დაკვირვებანი“, რომელსაც ლუი ბლანი ასე გამოეხმაურა: „თქვენი წიგნი იმ წიგნთაგანია, ყოველმა ფრანგმა ჟურნალისტმა რომ უნდა წაიკითხოს და კარგს იზამს, თუ მას ჩაუფიქრდება“.

ევროპაში ნიკო ნიკოლაძე განაგრძობდა თანამშრომლობას რუს რადიკალებთან, რომელთა იდეებითაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას მოიხიბლა პეტერბურგში, როგორც ჩერნიშევსკის უმცროსი მეგობარი და ჟურნალ „Современник“-ის ახალი ავტორი. სიმბოლურია, რომ სწორედ ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი გამოსცა ნიკოლაძემ ჟენევაში 1868 წელს, ხოლო შემდგომ, უკვე 80-იან წლებში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ დევნილი მოაზროვნის გადასახლებიდან დაბრუნებაში.

ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება იმდროინდელი ახალთაობის მეორე კერპთან — გერცენთან ემიგრანტულ „Колокол“-ში 22 წლის ქართველი პუბლიცისტის გახმაურებული გამოჩენით დაიწყო (ეს იყო 1865 წელს გამოქვეყნებული მისი სტატია — „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“) და ერთი წლის შემდეგ განხეთქილებით დამთავრდა, რადგან ნიკოლაძემ გაბედა გაეკრიტიკებინა გერცენის ერთი, ფრიად საჩოთირო პოლიტიკური ნაბიჯი.

საზოგადოდ, ნიკო ნიკოლაძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რომანი რუსეთთან“ საკმაოდ დრამატულად წარიმართა. სხვათა შორის, პირდაპირი გაგებითაც... იგი კარგად იცნობდა რუსეთს, რუსულ ლიტერატურასა და ისტორიას, რუსულ ხასიათს და, რაც მთავარია, რუსულ პოლიტიკას; აღტაცებით წერდა პუშკინსა და გოგოლზე, ნეკრასოვსა და შჩედრინზე, მაგრამ შეეძლო კრიტიკული თვალით წაეკითხა გარშინის პროზა, ან თვით ლევ ტოლსტოის „კრეიცერის სონატაც“ კი. თითქოს სწორედ ნიკო ნიკოლაძეს გულისხმობდა ილია, როცა წერდა: „ზემოქმედებამ რუსული ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონაკლევი ამ ლიტერატურისათვის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზე ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის“.

დღევანდელობის გადასახედიდან, როცა ნიკო ნიკოლაძის დადანაშაულება „რუსოფილობაში“ ღიმილს იწვევს, ცხადლივ ვხედავთ, რომ თბილისში რუსული გაზეთების რედაქტორობითაც („Обзор“ და „Новое обозрение“) და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობითაც (იქნებოდა ეს კრაევსკის „Голос“, ვენგეროვის „Устои“ თუ სალტიკოვ-შჩედრინის „Отечественные записки“) ნიკო ნიკოლაძე, საბოლოო ჯამში, ქართულ საქმეს აკეთებდა.

როცა გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ენციკლოპედია — ბროკჰაუზისა და ეფრონის — მთავრობის მიერ დევნილ და ერთხელ უკვე გადანასახლებ ნიკოლაძეს თავის მკითხველს აცნობს, როგორც „ნიჭიერ პუბლიცისტს“ („Талантливый публицист“) და მისი მოღვაწეობის ეტაპებს ჩამოთვლის, ყოველივე ეს, იმავე მთავრობას აიძულებს ყური მოუგდოს და ანგარიში გაუწიოს ამ პუბლიცისტის აზრს მისი ქვეყნის საარსებო საკითხების შესახებ.

საქართველოში დაბრუნებულ ნიკო ნიკოლაძეს მადლიერების ნაცვლად საყვედურებით ავსებენ „ქართული საქმისაგან განდგომისათვის“ და მას გუშინდელ ამხანაგებთანაც კი თავის მართლება უწევს: „მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით...“

როცა „სახლში იჯდა“ — გაზეთ „დროებას“ მესვეურობდა თუ ჟურნალ „კრებულს“ აარსებდა, — მთლად დალხენილი ცხოვრება არც მაშინ ჰქონდა: „დროებიდან“ წამოსვლა მოუხდა, „კრებულმა“ კი მხოლოდ ერთი წელი იარსება... შესაძლოა, ამიტომაცაა, რომ საკუთრივ ქართული ლიტერატურის პრობლემებზე ნიკო ნიკოლაძეს არც თუ იმდენი წერილი დარჩა.

მართალია, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ წერილების დონემ და პათოსმა მათ ავტორს ილიასთან ერთად ქართული სალიტერატურო კრიტიკის ფუძემდებლის სახელი დაუმკვიდრა.

ზევით ნიკოლაძის გაზეთი „Обзор“-ი ვახსენეთ. ამ გაზეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა მის ბიოგრაფიაში. ჯერ ხომ თვითონ ამბობდა, რომ მთელი ცხოვრება ოცნებობდა ასეთ გაზეთზე; მერე, როცა გაზეთი დაიხურა და გახმაურებული სასამართლო პროცესი გაიმართა, ნიკოლაძის სიტყვამ ამ პროცესზე გაზეთსაც და რედაქტორსაც უამრავი გულშემატკივარი გაუჩინა, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

„Обзор“-ის რედაქტორობისათვის სტავროპოლში არც თუ ხანგრძლივი გადასახლება 1880 წელს, პიროვნული თვალსაზრისით, იღბლიანი აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძისათვის: აქ ჩამოაკითხა მას ოლღა გურამიშვილმა, იმ წარმტაცმა ქალიშვილმა, რომელიც შვიდი წლის წინ ნიკომ მშობლებისაგან დაუკითხავად სასწავლებლად წაიყვანა შვეიცარიაში თავის დასთან ერთად.

გარეშე თვალით ნიკო ნიკოლაძე ერთ მომხიბლავ ქალს ეთხოვებოდა და მეორეს თხოულობდა. სტავროპოლში ყოფნისას იგი ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად განქორწინებული თავის პირველ ცოლთან ბოგუმილა (ბოტია) ზემიანსკაიასთან — ქუთაისში გადასახლებულ პოლონელთა ოჯახის ულამაზეს ასულთან; (მოგეხსენებათ, იმ დროს ცოლ-ქმრის გაყრა არც ისე ადვილი იყო, როგორც დღეს და საეკლესიო სინოდის საგანგებო ნებართვას საჭიროებდა).

ნიკოლაძეთა ოჯახის მთელმა შემდგომმა ბიოგრაფიამ ცხადყო, რომ ოლღა გურამიშვილში ნიკომ არა მხოლოდ თავდადებული მეუღლე და შვილების დედა, არამედ ჭეშმარიტი მეგობარი და თანამოაზრე ჰპოვა (სხვათა შორის, ოლღა არა მარტო სეხნია, ახლო ნათესავიც გახლდათ ილიას მეუღლისა და ახლადჯვარდაწერილებს ქორწილი საგურამოში ილიამ გადაუხადა).

ნიკოლაძეთა კერის მშვენება მათივე შვილები იყვნენ: პირმშო — რუსუდან, თვალსაჩინო მეცნიერი და პედაგოგი, ქართველ ქიმიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, მამამისის მემკვიდრეობის მოამაგე და შესანიშნავ მო-

(დასასრული მე-3 გვ.)

10 ოქტომბერს თბილისში მუშაობას შეუდგება ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველი ფორუმი. ვუსურვებთ მის მონაწილეებს წარმატებულ საქმიანობას სამშობლოს საკეთილდღეოდ!

რას ელით ფორუმისაგან?

„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხებენ ცნობილი ქართველი მწერლები და მეცნიერები, კონგრესის პალატის თავმჯდომარეები ლევან სანიკიძე და რევაზ მიშველაძე.

ლევან სანიკიძე: ყოველთა ქართველთა კონგრესი — ეს ახალი, ჭეშმარიტად ეროვნული განზრახვების ორგანიზაციაა, ამდენ ფარისევლურ-კარიერისტულ, პარტიულ-პოლიტიკურ ზედახორაში — დასაწყისშივე, მისი სინდისის შესატყვისად, დგამს სწორედ ერისთვის საჭირო პირველსავე ნაბიჯს; შეკრება ყოველ ქართველთა, საქართველოს სამანთა-შინა თუ სამან-მიღმიერთა წარმომადგენლობისა; შეკრება არა საზეიმო, თუ სანადიმო, საქვეყნოდ ყბადაღებული „ქართული სტუმარმასპინძლობით“, ცეკვა-თამაშითა და ყანწების ტრიალით; არამედ უმკაცრესად („მკაცრი“ არ კმარა) საქმიანი, საჭირბოროტო, სწორედ ჭირ—ბოროტებით გატენილი საქართველოს დახსნისათვის. იქნება თათბირი და ბჭობა უაღრესად პრაქტიკული და კონკრეტული (არა ჩვენებური, „ქართულ-კლასიკურ-პარლამენტური“); თანაც, საოცრად ანბანური: საქართველოს, ჯერაც ფორმალურ „სახელმწიფოს“, მით უფრო „რესპუბლიკად“(!) წოდებულს —უნდა ექნეს საკუთარი კანონი (კანონის დიქტატურა!), საკუთარი ლუკმა, საკუთარი საქმე, საკუთარი ზნეობა. მაშასადამე ამ „გაღმა-გამოღმა ქართველთა“ პირველმა უნიკალურმა ყრილობამ სწორედ საქმით (საქმით-მეთქი!) უნდა იმსჯელოს და გადაწყვიტოს, როგორ დაიწყოს, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოებრიობა (სახელმწიფოებრიობა-მეთქი!) საქართველოსი...

რევაზ მიშველაძე — მსოფლიოში დღეს თერთმეტ მილიონამდე ქართველია.

და მათი დიდი უმრავლესობა ამჟამად, ჩვენი ძნელბედობის გამო, საქართველოს თანამედროვე გეოგრაფიული საზღვრის გარეთ ცხოვრობს.

მოვიხმეთ ყოველთა ქართველთა წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არა მხოლოდ საქართველოს ფერფლის სანახავად და მათი გაუბედურებული სამშობლოს პანაშვიდზე ცრემლის საღვრელად, არც მარტოოდენ საქართველოს ძეგლ-სანახების დასათვალიერებლად და გმირულ წარსულზე გულისამაჩუყებელი სიტყვების მოსასმენად. ჩვენ მსოფლიო ფორუმისგან ველით გონივრულ სჯა-ბაასს პრობლემაზე — რა გადაარჩენს საქართველოს!

თავს თუ არ მოვიტყუებთ და, ზოგიერთი ურაპოლიტიკოსის უსაფუძვლო, ყალბ ოპტიმისტურ პროგნოზებს ბრმად თუ არ მივენდობით, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

მსოფლიო ფორუმი მესახება მაღლააწეულ მსოფლიო ტრიბუნად, საიდანაც მსოფლიომ განწირული საქართველოს ღაღადისი საქართველოს კვნესა უნდა გაიგონოს.

ისმინე მსოფლიოვ, — უნდა ითქვას ამ ტრიბუნიდან, — კავკასიის მთების ძირში ცხოვრობს პატარა ერი თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობით და უძველესი ცივილიზაციით, ერი, რომელმაც მსოფლიოს სწორუპოვარი მატერიალური კულტურის ძეგლები, განსაცვიფრებელი მუსიკალური ფოლკლორი და შოთა რუსთაველი მისცა.

საქართველოს ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაა და სწორედ ამ საუკუნეში, როცა მსოფლიო ხელისგულივით ჩანს და პოლიტიკოსები პატარა ერების გადარჩენის ხერხების აღმოჩენებით გართულან, საქართველოს ყველაზე მძიმე დღეები დაუდგა.

იმპერიის ნებით საქართველოს ფაქტობრივი ტერიტორია ამ საუკუნეში 111 ათასიდან 42 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა, რუსეთ-საქართველოს 1992-93 წლების უთანასწორო ომში რესტავრირებულმა იმპერიამ საქართველოს მოუკლა ოცდაათი ათასი პატრიოტი, თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გამოუდევნა სამასი ათასი მოქალაქე, ხოლო მილიონამდე საქართველოს მცხოვრები (ერთი მილიონი ოთხი მილიონიდან!) აიძულა სამშობლო მიეტოვებინა და ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გაქცეულიყო.

მადლობელი ვართ ქართველები ამერიკავ და ბებერო ევროპავ, თანაგრძნობის უტყვი ღიმილით რომ გადმოგვხედავთ ზოგჯერ და ჰუმანიტარული დახმარების სასიცოცხლო ხელს გვიწვდით, მაგრამ, ნუთუ ასე ძლიერია ძლივსმფეთქავი იმპერიის შხამი, რომ, კეთილი ნების მსოფლიო, შენც შეგაკრთო და ლამის გაუყუჩდე საქართველოს გვემა-წამებას?

რა მოიმოქმედე შენ შარშან მთელი წლის განმავლობაში, იმპერიული ძალების ავიაცია ჩონჩხადქცეულ ქართულ ქალაქს — სოხუმს რომ ბომბავდა?

როგორ გეძინა შენ, როცა ყინულის ვიწროებში სამასი ათასი სიცივე-შიმშილისაგან გათანგული ქართველი მოირწყოდა?

როგორ უყურებ დღეს საქართველოს ყველა დანარჩენ გასაჭირს?

იქნებ რაიმე შევცოდეთ, რაიმე დავაშავეთ ქართველებმა ისტორიის ან ღმერთის წინაშე?

არაფერი, სრულიად არაფერი.

ჩვენ გვტკეპნიან და ტანკებით გვთელავენ: როგორ გაბედეთ დამოუკიდებლობის გამოცხადებაო.

და აი, შევიკრიბებით დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ქართველები, რათა ერთად დავსახოთ საქართველოს ეროვნულ-ეკონომიკური ხსნის გზები.

მსოფლიოს კიდევ ერთხელ შევახსენოთ, რომ საქართველო ჯერ ისევ ფეთქავს.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

1994 წლის 21 აგვისტო

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!

მინდა მადლობა მოგახსენოთ საქართველოში სპორტის განვითარებაზე თქვენი ზრუნვისათვის, თქვენი ქვეყნისათვის ესოდენ მძიმე მომენტში.

ყველამ ვიცით, რომ საქართველომ აღზარდა ბევრი ისეთი ცნობილი სპორტსმენი, როგორებიც არიან ნინო დუმბაძე, რობერტ შავლაყაძე, ვიქტორ სანეევი და სხვები.

მოხარული ვიყავით, როცა შევიტყვეთ, რომ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას სურს შეიძინოს მძლეოსნობის სპორტული კომპლექსი ქალაქ თბილისში.

ითვალისწინებს იმას, თუ რა მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაა სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფმა) მიიღო გადაწყვეტილება 1992 წელს გამოეყო 44 ათასი ამერიკული დოლარი ორი წლის პერიოდში შესაბამის ზონებში მძლეოსნობის განვითარებისათვის.

ამ წერილით ოფიციალურად ვადასტურებ, რომ იააფი 20 ათას ამერიკულ დოლარს გადაუხდის საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას მძლეოსნობის კომპლექსის შესაძენად.

მადლობას მოგახსენებთ ამ საკითხისადმი ყურადღებისათვის და ვიმედოვნებ, რომ მხარს დაუჭერთ მძლეოსნობის განვითარებას თქვენს ქვეყანაში.

გულწრფელად თქვენი
პრიმო ნაბილო,
იააფის პრეზიდენტი.

პირველი საერთაშორისო კონფერენცია

ქალაქ სოჭში (დაგომისი) გაიმართა დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა კავშირის პირველი საერთაშორისო კონფერენცია დაზღვევის პრობლემებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თანამეგობრობის ქვეყნების დაზღვევის ორგანიზაციების (კომპანიების, ფირმების) ხელმძღვანელები, აგრეთვე დასავლეთ ევროპის სადაზღვევო კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკიდან კონფერენციაზე მიწვეული იყო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის გენერალური დირექტორი რეზო ფაჩულია, რომელიც კონფერენციამ კომიტეტის შემადგენლობაში აირჩია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

(დასასრული)

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველო შეუერთდა 1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიღებულ საერთაშორისო პაქტებს და ფაკულტატიურ ოქმს „ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ“ და „ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტმა:

1993 წლის დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მოთხოვნათა შესაბამისად წლეულს, ოქტომბრის დამლევამდე წარმოადგინოს წინადადებები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის შესახებ;

— შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი საქმიანობის პროგრამა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

2. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის რეფორმის განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტმა:

— საგანგებო ყურადღება დაუთმოს ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის საკითხებს;

— გადაუდებლად განახორციელოს ეფექტიანი ღონისძიებები ძალადობისა და მძევალთა აყვანის ფაქტებისადმი ქვეყნის მოსახლეობაში შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნისათვის;

— საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიასა (გ. ლორთქიფანიძე) და იურიდიულ კომისიასთან (შ. ნათელაშვილი) ერთად მოამზადოს წინადადებები ქვეყნის კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად „ადამიანის პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების შესახებ“ და „ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს ასამბლეის მიერ მიღებული საერთაშორისო პაქტების პირველი ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად;

— შეადგინოს ადამიანის უფლებათა შესახებ გაეროს იმ საერთაშორისო პაქტების ჩამონათვალი, რომლებთან მიერთება (ან მათზე ხელის მოწერა) ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის ობიექტური აუცილებლობაა.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, სამართალდამცავმა და სხვა სახელმწიფო ორგანოებმა, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისმა სამსახურებმა კომიტეტთან თანამშრომლობით განიხილონ გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტები და ფაკულტატიური ოქმი. შეიმუშაონ წინადადებები აღნიშნულ საბუთებში მოცემული დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნონ ზემოაღნიშნული საბუთები.

4. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტი:

— კოორდინაციას უწევს რესპუბლიკის სახელმწიფო, სამთავრობო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ადამიანის პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვაში 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის მიღებული საერთაშორისო პაქტების შესაბამისად;

— განიხილავს ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს;

— სამართალდამცავი ორგანოების (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამსახური) წარმომადგენლის თანდასწრებით ამოწმებს წინასწარი დაკავების, პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სასჯელის ან სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებების აღმასრულებელ შრომაგასწორებით და სხვა დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობას. კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით აღჭურვილი თანამდებობის პირი უფლებამოსილია შევიდეს დაკავებულთა მოთავსებისა და წინასწარი პატიმრობის, სასჯელის აღსრულების ადგილებში, შეხვდეს და გაესაუბროს დაკავებულებს და დაპატიმრებულებს, გაარკვიოს, არის თუ არა დაცული მათი უფლებები დაკავების ან დაპატიმრების, აგრეთვე შესაბამის დაწესებულებებში ყოფნის პროცესში;

— არ ერევა საგამოძიებო ან სასამართლო განხილვის პროცესში. იგი არ ცვლის საპროკურორო ზედამხედველობას და არ იღებს მონაწილეობას ამ დაწესებულებათა ოპერატიულ საქმიანობაში.

5. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს უფლება აქვს წერილობითი წარდგინებით მოთხოვოს შესაბამისი თანამდებობის პირს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტის აღკვეთა. მისი წარდგინების განხილვა სავალდებულოა ერთი თვის ვადაში, განხილვის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტის თავმჯდომარეს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს.

6. რესპუბლიკის სახელმწიფო, სამთავრობო ორგანოები და ორგანიზაციები, ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები ვალდებული არიან მოთხოვნისთანავე წარუდგინონ შესაბამისი ინფორმაცია კომიტეტს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

7. რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად მუდმივად იზრუნოს იმისათვის, რომ განუხრელად იქნეს დაცული „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ძირითადი მოთხოვნები. აღიკვეთოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გავრცელების საქმეში ადმინისტრაციული ჩარევის ფაქტები.

ამასთან, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ პრესის თავისუფლება შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ-ზნეობრივ ნორმებს, რათა მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული ცილისმწამებლური, პიროვნების ღირსების შემლახველი, დამამცირებელი განცხადებები.

8. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის შესახებ.

9. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტმა გაეროს მოთხოვნათა შესაბამისად წლეულს, 10 დეკემბრისათვის წარმოადგინოს მოხსენება „ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში“.

10. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში.

ე. შევარდნაძე

ერთად უნდა ვებრძოლოთ!

მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაცია

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას ბრძანებით, 6 ოქტომბერს საქართველოს დედაქალაქში კონსპირაციის ყველა წესის დაცვით განხორციელდა დამნაშავეობასთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ოპერაცია. ოპერაციაში მონაწილეობდნენ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს, პოლიციის რაიგანყოფილებების ოპერატიული სამსახურები და გენერალ გია გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფები. ამ კომპლექსური აქციის დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო ნარკომაფიასთან ბრძოლის გაძლიერებას, მომწამვლელი ნივთიერების რეალიზატორთა, ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგების გამოვლინებას. მოეწყო სხვა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანიც.

დედაქალაქის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ნარკომაფიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ევგენია ხაბალაევა და ცირა გოროშენიძე. მათ, როგორც გამოირკვა, ვლადიკავკაზში შეუძენიათ 500 ათასი რუბლის ღირებულების ეგრეთ წოდებული ოპიუმიანი „ჩენი“ და თბილისში ჰყიდნენ სამჯერ უფრო ძვირად — ერთ ცალს 30 ათას რუბლის ფასად.

მთაწმინდის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს მალხაზ ჯაბირაძე, რომელსაც აღმოუჩინეს რელანიუმის ძლიერმოქმედი პრეპარატის 150 ამპულა და ფ-1 ტიპის ხელყუმბარა.

დააკავეს აგრეთვე ოცდაათამდე სტუდენტი და მოსწავლე, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებათა ზემოქმედებაში იყვნენ. ოპერაციის დროს ჩამორთმეულია მოქალაქეთა ხელთ უკანონოდ არსებული რამდენიმე ათეული ავტომატი და პისტოლეტი, „მუხის“ ტიპის გრანატმტყორცნი და დიდძალი ტყვია-წამალი. ფირმა „ბანსა და კომპანიაში“ ჩამორთმეულია ათიათასკუპიურიანი 3 მილიონ 830 ათასი ყალბი რუსული რუბლი. დადგინდა, რომ უკვე მოესწროთ 20 ასეთი ყალბი კუპიურის გასაღება. მათ ნომრებს, შემდგომი გაცვლის თავიდან აცილების მიზნით, გამოაცხადებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი — საქინფორმი.

თუ კავკასიაში ვერ შევძელით მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება, მას ვერც სხვაგან შევძლებთ

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიკვაიძის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 49-ე სესიაზე 1994 წლის 4 ოქტომბერს

ბატონო პრეზიდენტო,
ბატონო გენერალურო მდივანო,
პატივცემულო დელეგატებო

ბატონო პრეზიდენტო, თავდაპირველად ნება მიბოძეთ მოგილოცოთ გენერალური ასამბლეის 49-ე სესიის პრეზიდენტად არჩევა, რაც თქვენი დიდი გამოცდილებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე თქვენი მნიშვნელოვანი ღვაწლის აღიარებაა.

ნება მომეცით მივესალმო და მადლობის სიტყვებით მივმართო გენერალურ მდივანს დოქტორ ბუტროს-ბუტროს გალის იმ ყურადღებისა და ყოველდღიური ზრუნვისათვის, რასაც ის ჩემი ქვეყნის პრობლემებისადმი იჩენს, იმ თავდადებული მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართულია მომავალი თაობისათვის უფრო უსაფრთხო, მშვიდ და კეთილგონიერი მსოფლიოს ასაშენებლად. ქართველი ხალხი მოუთმენლად მოელის თქვენს მომავალ ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში.

— ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ ასევე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელით გულითადი მისალმება გადმოგცეთ და ნაყოფიერი საქმიანობა გისურვოთ.

პატივცემულო დელეგატებო,

ორი წელიწადი გავიდა იმ დღიდან, რაც პატივი მქონდა მეუწყებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ასსამოცდამეცხრამეტე წევრად შესვლა და მომემართა თქვენთვის ამ ტრიბუნიდან. ჩემი ერისათვის ეს სიხარულისა და დღესასწაულის მომენტი იყო.

ორი წლის მანძილზე ბევრი მოვლენა მოხდა, რაც ეიფორიისა და თვითკმაყოფილების საფუძველს არ იძლევა.

არც ისე დიდი ხანია, რაც ჩემი ქვეყანა აქტიურად დაადგა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზას, და ამ გზაზე ბევრ საშინაო თუ საგარეო პრობლემას ვაწყდებით, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბების მიუხედავად ქვეყანაში კვლავაც ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია.

საერთაშორისო გაერთიანებამ დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს. ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ფედერაციის, გერმანიის, ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების, თურქეთის მთავრობებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მის სპეციალურ სააგენტოებს იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელიც ძნელბედობის ჟამს მათ ჩემს ქვეყანას აღმოუჩინეს.

ფართო სპექტრის პრობლემების ფესვები, რომლებიც საქართველოსა და იმ სახელმწიფოების წინაშე წამოიჭრა, ახლახან რომ დაიბრუნეს დამოუკიდებლობა, ქვეყნის შიგნით უნდა ვეძიოთ და მათი გადაჭრა უწინარეს ყოვლისა თვით ამ ქვეყნებზეა დამოკიდებული. მაგრამ მოდით, ერთი წუთით გვერდზე გადავდოთ საშინაო ასპექტები და ყურადღება გადავიტანოთ საერთაშორისო გარემოცვაზე, რომლის ნაწილიც სხვა ერებთან ერთად ჩვენც ვართ.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში ძირეული ცვლილებები მოხდა. საყოველთაო ბირთვული კატასტროფის რისკმა მნიშვნელოვნად იკლო და ამ თვალსაზრისით დედამიწა ნაკლებად საშიშ ადგილად იქცა, მაგრამ იმავდროულად მსოფლიო ნაკლებად სტაბილური და პროგნოზირებადი გახდა; შეიცვალა საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაც.

ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა შეესატყვისებოდა იმ ეპოქის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, გეოგრაფიულ და სხვა რეალობებს. ამ რეალობებიდან გამომდინარე ღრმად იყო გათვითცნობიერებული ის ფაქტი, რომ ფაშისტური სახის ტოტალიტარული რეჟიმი დამარცხდა. ამის გათვალისწინებით, ბევრი ხარვეზის მიუხედავად, ომისშემდგომი პერიოდის ბიპოლარული სისტემა ძირითადად შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა ჩვენს პლანეტაზე უშიშროებასა და სტაბილურობას.

ჩვენი თაობა კიდევ ერთი ტოტალიტარული რეჟიმის, — კომუნისტური იდეოლოგიისა და მის მიმდევართა დამხობის მოწმე გახდა, რამაც საერთაშორისო ურთიერთობებში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. დრომ განსხვავებული მოთხოვნები გვიკარნახა და ამჟამად ერთა თანამეგობრობა ახალი გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. ამავე დროს კაცობრიობის ისტორიაში მთელი ეპოქის დამთავრებას არ მოჰყოლია საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის შექმნა, რომელიც შეესატყვისებოდა თანამედროვე მსოფლიოს რეალობებს, როგორც ეს ამ 50 წლის წინათ მოხდა. საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუტები, ისევე როგორც საერთოდ პოლიტიკური აზრი, მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ცვლილებებისათვის და დღემდე დროებით ზომებს იყენებენ.

დღევანდელი პოლიტიკური ლიდერები როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ აფასებენ ცვლილებების არსსა და მნიშვნელობას. სწორედ ეს არის მიზეზი უუნარობისა გაუმკლავდე დღევანდელ პრობლემებს, პოსტკონფრონტაციული მსოფლიოს გამოწვევებს. საერთაშორისო ურთიერთობების ინფრასტრუქტურა, პრინციპები, ბერკეტები და აზროვნება მოითხოვს შეცვლილ გარემოებებთან შეგუებას.

ამაშია პრობლემის ის გარეგანი ასპექტი, რომელსაც ახლადწარმოქმნილი ქვეყნები, და მათ შორის ჩემი ქვეყანაც, წააწყდნენ. ისინი დემოკრატიული საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე თავიანთ პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამენ. ეს გზა გრძელი და რთულია იმ სამყაროში, რომელიც ჯერაც ირყევა ცვლილებებისაგან და ვერ ათვითცნობიერებს ვერც ამ ქვეყნების წინაშე მდგომ სირთულეებს და ვერც მათი არსებობისა და სტაბილური განვითარების მნიშვნელობას.

სამწუხაროდ, ბევრი მათგანი, მათ შორის ჩემი ქვეყანაც, მიეკუთვნება ცხელი წერტილების, ჩვენი პლანეტის მოუშუშებელი ჭრილობების რიცხვს. ხშირად ისინი საჭიროებენ გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას მაშინ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობის სამშვიდობო მოქმედებანი, მათი მაქსიმალური ძალისხმევის მიუხედავად, ზოგ შემთხვევაში გამოწერილი წამლებით ამბულატორიულ მკურნალობას წააგავს.

შესაძლოა მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, არ შემშვენის გაეროს სამშვიდობო ოპერაციების ნაკლოვანებებზე საუბარი. გაერომ, მისმა უშიშროების საბჭომ, პირადად გენერალურმა მდივანმა ბუტროს-ბუტროს გალიმ და მისმა სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ელჩმა ბრუნერმა მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეს ჩემი მრავალჭირგამოვლილი ქვეყნის მიმართ, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ იქნა უშიშროების საბჭოს ცხრა რეზოლუცია, რეგიონში ფაქტების დადგენის მიზნით, რამდენიმე მისია გაიგზავნა და გაგრძელდა მეთვალყურეთა მისიის მანდატი. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ზუსტი გადაწყვეტილებები და თამამი მოქმედება — სწორედ ამას მოელიან მსოფლიოს ხალხები გაეროსა და მისი წევრი ქვეყნებისაგან.

ამასთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო, თუ რაოდენ სასარგებლო და დროული იყო გაეროში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენლის ქ-ნ მადლენ ოლბრაიტის ამასწინანდელი ვიზიტი საქართველოში, რომელმაც კვლავ დაადასტურა ის დიდი ყურადღება, რასაც პრეზიდენტი კლინტონი საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი იჩენს.

არ მინდა ზედმეტად შევაჩერო თქვენი ყურადღება ცხელი წერტილების პრობლემებზე, მაგრამ საქართველოს უკიდურესი გაჭირვება არც ამ პრობლემის სრული უგულებელყოფის უფლებას მაძლევს. ფიქრიც არ გვინდა იმაზე, რომ საქართველოში კიდევ ერთი ექსპერიმენტი ტარდება, რომლის შედეგებმაც შეიძლება უშუალო გავლენა მოახდინონ სხვა სახელმწიფოების უშიშროებასა და სუვერენიტეტზე.

ძნელია აღწერო ის აპათია და იმედგაცრუება, რომელიც საქართველოს ხალხს დაეუფლა საერთაშორისო თანამეგობრობის უუნარობის გამო, მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს კონფლიქტი აფხაზეთში.

ამგვარმა განწყობილებამ მეტად დაძაბა და სახიფათო გახადა საქართველოს საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა. პარლამენტსა და ხალხში აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ უკვე წელიწადზე მეტია ვერ მოიძებნა კონფლიქტის მოწესრიგების გზა და 300 ათასზე მეტი დევნილი, რომელიც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა, ვერ უბრუნდება საკუთარ კერას.

აფხაზეთის კონფლიქტის ძირითადი მიზეზია აგრესიული სეპარატიზმი, რომელსაც გარეშე ძალები უჭერენ მხარს, ცდა, სუვერენულ სახელმწიფოს წაჰგლიჯოს მისი ტერიტორია და საქართველოს ამ ნაწილში შექმნას სიძულვილზე, შეუწყნარობლობასა და დისკრიმინაციაზე დაფუძნებული პროვინციული დიქტატურა.

ჩვენ გაეროს იმ იმედით მივმართეთ, რომ იგი სამშვიდობო ოპერაციის მეშვეობით გამოხმაურებოდა მისწრაფებას მშვიდობიანი გზით მოგვეგვარებინა კონფლიქტი, მაგრამ იმედები მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მიუხედავად წევრმა სახელმწიფოებმა ვერ გამოძებნეს ფინანსური საშუალებები, ვერ გამოყვეს სამხედრო კონტინგენტი. მათ არც პოლიტიკური ნება აღმოაჩნდათ, რათა საქართველოში სამშვიდობო ოპერაცია დაწყებულიყო.

დარწმუნებული იყო რა გაეროს ეგიდით საკითხის სამართლიანი მოგვარების შესაძლებლობაში, საქართველოს მთავრობა, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მეთვალყურეობითა და რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, აგრეთვე ევროთათბირის მეთვალყურეობით მთელი ამ ხნის განმავლობაში კეთილსინდისიერად აწარმოებდა მოლაპარაკებას აფხაზ სეპარატისტებთან. შედეგად ხელმოწერილ იქნა რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონფლიქტის მოგვარებასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მშობლიურ მიწაზე დაბრუნების უზრუნველყოფას.

სამწუხაროდ, სეპარატისტთა მხრიდან მრავალ დაპირებათა შეუსრულებლობისა და ვალდებულებების განუხორციელებლობის მწარე გამოცდილება ადასტურებს, რომ მიამიტობაა ველოდოთ გაგებას იმათგან, ვინც ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას აწარმოებს.

მოულოდნელობა არც ის არის, რომ აფხაზი სეპარატისტები იშველიებენ ყურით მოთრეულ მიზეზებს, რათა კვლავ განაგრძონ შეთანხმებების შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებათა უგულებელყოფა.

აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო ძალების ოპერაციის ჩატარებაზე იმედგაცრუებულმა საქართველოს მთავრობამ ანალოგიური თხოვნით მიმართა დსთ-ს ქვეყნების მეთაურებს, მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის სამშვიდობო ჯარები განლაგდა. იმის მიუხედავად, რომ მათი იქ განთავსება სასარგებლო და იმედისმომცემია, ჩვენ ვთვლით, რომ მათ შეუძლიათ უფრო აქტიური იყვნენ და არ შემოიფარგლონ მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორებით.

კონფლიქტი აფხაზეთში მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ გახლავთ. მერწმუნეთ, ამით არ ვგულისხმობ საკუთარი პრობლემების სხვისთვის გადაბრალებას. მათი განვითარება რეალურ საშიშროებას უქმნის მსოფლიოს. კონფლიქტის მოსაგვარებლად საერთაშორისო ძალისხმევის აუცილებლობის სხვა მრავალი არგუმენტიც არსებობს.

დარწმუნებული ვართ, რომ უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო თანამეგობრობას უფლება არა აქვს დარჩეს გულგრილი მაშინ, როცა არსებობს უხეში მცდელობა დაირღვეს გაეროს წევრი სახელმწიფოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და საფრთხე შეექმნას საერთაშორისო მშვიდობას და სტაბილურობას.

თუკი სეპარატიზმს საშუალებას მივცემთ ერთ ქვეყანაში მიაღწიოს მიზნებს, შევქმნით პრეცედენტს, რომელიც ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს მთელ მსოფლიოში, ჩვენს შორის მყოფთაგან ვის შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ მისი ქვეყანა და ხალხი დაცულია ამ საშიშროებისაგან!

საქართველოში არსებული ვითარება სხვა თვალსაზრისითაც უნიკალურია. შესაძლოა მსოფლიო ისტორიის მანძილზე პირველად არის, რომ ხალხი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს, საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნეს. ეს არ არის ის პრეცედენტი, რომელიც შეიძლება მსოფლიომ დაუშვას.

და ბოლოს, კავკასია იმ რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებსაც განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვთ და აქ შექმნილი ვითარება პლანეტის სხვა რეგიონებზე ახდენს გავლენას.

კავკასია ის გზაჯვარედინია, სადაც თავს იყრის ჩრდილოეთისა და სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთმანეთისაკენ მიმავალი გზები, სხვადასხვა კონტინენტის ეთნიკური კულტურები, აქტიურ ურთიერთქმედებაშია ქვეყნების სტრატეგიული ინტერესები. აქედან გამომდინარე, თუკი კავკასიაში ვერ შევძელით მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება, ამას ვერც სხვაგან შევძლებთ.

განა შემაშფოთებელი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენმა მეზობლებმა — სომხეთმა და აზერბაიჯანმა უკვე მერამდენე წელიწადია ვერ მოახერხეს მათ შორის არსებული დაპირისპირების დაძლევა, ეს კონფლიქტიც თავის დაღს ასვამს კავკასიას, დესტაბილიზაციისა და ასობით ათასი ადამიანის უბედურების მიზეზად გვევლინება.

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება აუცილებელია და სავსებით შესაძლებელიც, ეს ჩვენი მთავრობის ურყევ პოზიციას წარმოადგენს. ამ შესაძლებლობის რეალიზაცია კი ყველა მხარის საერთო ძალისხმევით, პოლიტიკური მეთოდებითა და კომპრომისებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის მზადყოფნით თუ მიიღწევა.

საქართველოს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მართებს ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვანი მოსახლეობისათვის თანამედროვე, სამართლიანი და ქმედითი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესში.

საუბარია იმ მრავალფეროვნებაზე, რომელიც საქართველოში საუკუნეების მანძილზე მეგობრობის, სტაბილურობის, სიამაყისა და არა დაძაბულობის თუ სიძულვილის წყარო ყოფილა.

მთავრობისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს თავისი ხალხის ნორმალური ცხოვრებისათვის მყარი ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, ამ ამოცანის გადაჭრამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს ეკონომიკური სიდუხჭირის პოლიტიკური და ეთნიკური ხასიათის პრობლემებში გადაზრდა.

საქართველო ვერასოდეს შეურიგდება თავისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილის დაკარგვას იმიტომ კი არა, რომ იგი ისედაც ძალზე მცირეა, არამედ იმიტომაც, რომ მისი ყოველი მტკაველი უეჭველად მისსავე ხალხს ეკუთვნის.

აფხაზი სეპარატისტების ლიდერებმა კარგად უნდა შეიგნონ ეს. იმათაც უნდა გამოავლინონ პოლიტიკური გაბედულება და ნება, მოქნილობა და წინდახედულობა, რათა მოლაპარაკება კეთილსინდისიერად წარიმართოს და მიღწეულ იქნეს სამართლიანი და ხანგრძლივი მოწესრიგება.

ქართველებისა და აფხაზების მომავალმა თაობებმა უნდა შეძლონ თავიანთი მამების ცხოვრების ერთი შავბნელი ფურცლის დავიწყება და კვლავ დაუბრუნდნენ მშვიდობისა და მეგობრობის იმ იდეალებს, რომლებითაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესის აქტიური მონაწილეა და ამ მიმართულებით დიდი პასუხისმგებლობა აქვს ნაკისრი. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის განწყობის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციას, როგორც მძლავრ სახელმწიფოს და პრეზიდენტ ელცინს, როგორც მის ლიდერს, სურთ სამხრეთით ძლიერი, სტაბილური, სუვერენული, ერთიანი და მეგობრული საქართველო ესაზღვრებოდეთ.

ნებისმიერი სხვა მოსაზრება ლოგიკის საწინააღმდეგოა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა ელცინმა მიმდინარე სესიაზე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ურთიერთობა დსთ-ს სხვა წევრებთან დაფუძნებული იქნება კეთილი ნებისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე.

ერთი სიტყვით, დროა ვიფიქროთ მომავლის შესაძლებლობებზე და არა წარსულ შეცდომებზე.

ბატონო თავმჯდომარე,

სულ მცირე ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო ერთა თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ეს პერიოდი ჩვენთვის უაღრესად დაძაბული და ემოციებით აღსავსე აღმოჩნდა.

მოვალე ვართ გავიზიაროთ გამოცდილება და შეხედულებანი ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც, ჩვენი აზრით, საერთო კოლექტიური ძალისხმევის ეფექტიანობის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს.

მშფოთვარე დროს მოგვიწია ცხოვრებამ, მოწმენი ვართ მსოფლიოში სწრაფი და ხშირად მოულოდნელი მოვლენებისა. ასეთ პირობებში თანამედროვე პოლიტიკური აზრის უპირველესი ამოცანაა არსებული საერთაშორისო ინსტიტუტები შეუსატყვისოს დღევანდელობის პოლიტიკურ რეალობებს.

იმისათვის, რომ მოვლენებს მუდამ წინ უსწრებდეს და ეფექტიანად ასრულებდეს დაკისრებულ ფუნქციებს, ისეთ წარმომადგენლობით ორგანოსაც კი, როგორიც გაეროა, თავის სტრუქტურებში გარკვეული ცვლილებების შეტანა მართებს.

გაეროს საქმიანობაში დროით გამოწვეული რეფორმების განხორციელების აუცილებლობა, გენერალური მდივნის ძალისხმევა ამ მიმართულებით და ამაზე წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის თანხმობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს.

გაეროს დაარსებიდან მისი წევრი ქვეყნების რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა. ჩვენ მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, ეს ცვლილება აისახოს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობის 21-მდე გაზრდით და გვწამს, რომ გერმანიისა და იაპონიის, როგორც მუდმივი წევრების კანდიდატურები მისაღებია გაზრდილი უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შესაყვანად.

ამ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის ასახვის გარდა, ასეთი გადაწყვეტილება საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ მოვუღოთ ბოლო მეორე მსოფლიო ომისა და ცივი ომის მემკვიდრეობას.

უშიშროების საბჭოში მუდმივ და არამუდმივ წევრად არჩევისას, ჩვენი აზრით, ძირითად კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ წევრი სახელმწიფოს მონაწილეობა და როლი საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

ეს ფაქტორი გადამწყვეტად მიგვაჩნია, თუმცა, რასაკვირველია, არც სხვა ასპექტების, მაგალითად თანასწორი გეოგრაფიული წარმომადგენლობის უგულებელყოფა შეიძლება.

მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა მოითხოვს გაეროს მთავარი იურიდიული ორგანოს — საერთაშორისო სასამართლოს ეფექტიანობის ამაღლებას.

სავსებით ვეთანხმებით გენერალურ მდივანს იმ მოსაზრებაში, რომ სასამართლო, როგორც უთანხმოებათა მოწესრიგების ძირითადი ინსტრუმენტი, ამ მიზნისათვის ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება.

ეჭვგარეშეა, რომ საერთაშორისო სასამართლოს უფრო ეფექტიანი გამოყენება უნარს შემატებს გაეროს განამტკიცოს მშვიდობა.

მხარი გვინდა დავუჭიროთ გენერალური მდივნის ინიციატივას, რომელიც მის მოხსენებაში „დღის წესრიგში მშვიდობისათვის“ არის ხაზგასმული და საერთაშორისო სასამართლოს წესდების 36-ე მუხლის თანახმად ამ ორგანოს უნივერსალური იურისდიქციის აღიარებას ითვალისწინებს.

საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნისათვის მიმართული ძალისხმევა შეიძლება ეფექტიანი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ იგი ორივეს — გლობალურ და რეგიონულ დონეებს მოიცავს. ჩვენი აზრით, გლობალური და რეგიონული უშიშროების სისტემათა შორის კავშირები არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს და არამყარი ხასიათისაა. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ დროა დადგეს საკითხი იმის თაობაზე, რომ განხორციელდეს ღონისძიებები უშიშროების გლობალური და სხვადასხვა რეგიონული სისტემების ურთიერთმოქმედების დონის ასამაღლებლად გარკვეულ ხელშეკრულებათა სერიის დადებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სისტემათა მექანიზმების მჭიდრო კოორდინაციას.

ეს ხელშეკრულება, რომლებიც შეესატყვისებიან გაეროს წესდებისა და მისი ქარტიის დებულებებს, აგრეთვე რეგიონულ სისტემათა სტატუსს, ამასთანავე საშუალებას მისცემდნენ რეგიონულ ორგანიზაციებს განეხორციელებინათ საკონსულტაციო და მაკონტროლებელი ფუნქციები გაეროს სახელითა და მისივე ეგიდით.

სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე ჩვენ ხშირად გვიხდება პოსტკონფრონტაციული მსოფლიოს წინაშე წამოჭრილ, სპეციფიურ პრობლემათა განხილვა. სეპარატიზმი, განსაკუთრებით კი მისი აგრესიული, ექსტრემისტული სახესხვაობა, ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათოა და პლანეტაზე კიბოს სიმსივნესავით ვრცელდება.

დარწმუნებული ვართ, რომ ძირითადი საკითხი, რომელიც უკვე დიდი ხანია გადაწყვეტას მოითხოვს, არის აგრესიული სეპარატიზმის შემაკავებელი კანონის შემოღება, რათა ისეთმა სიტუაციამ, რომელიც საქართველოში შეიქმნა, მომავალში მსოფლიოს სხვა კუთხეშიც არ იფეთქოს, და თუ ასეთი რამ მოხდა, შეიზღუდოს და დროულად აღმოიფხვრას.

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს უნდა დაემატოს ისეთი მკაფიო დებულებები, რომლებიც აგრესიულ, ექსტრემისტულ სეპარატიზმს მისი ჩასახვისთანავე კანონგარეშედ მიიჩნევს. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის უბრალო სიტყვიერი გარემოება და ერთგულება არასაკმარისია და, ამდენად ბევრ შემთხვევაში აღმაშფოთებლადაც უგულებელყოფენ ხოლმე.

ასეთ კანონთა დებულებებმა უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე მკაცრი ემბარგო სამხედრო მომარაგებაზე და მკვეთრი, გადამჭრელი ეკონომიკური ზომები სეპარატისტულ მოძრაობათა წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში და ძალადობაში გადაიზარდნენ, ისევე როგორც გამონაკლის შემთხვევებში, ყველაზე რადიკალური ზომის — გაეროს შეიარაღებული ძალის გამოყენება.

შეიარაღებული ძალები ასეთი ოპერაციებისათვის შეიძლება ორი გზით შეიქმნას: ან გაეროს სარეზერვო ძალებისაგან, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს, ან წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა განსაკუთრებულად გაწვრთნილი ჯარებისაგან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უშუალოდ დაექვემდებარებიან გაეროს სამხედრო შტაბის კომიტეტს, რითაც ეს უკანასკნელი უფრო აქტიური და ქმედითი გახდება.

იმის მიუხედავად, რომ მეორე ვარიანტი სიდღეისოდ უფრო რეალური ჩანს, მინდა მაინც გავუსვა ხაზი დროული პრევენტიული ზომების მნიშვნელობას ზემო აღნიშნული ხასიათის კონფლიქტების წინააღმდეგ. შესაძლოა, ბევრი კონფლიქტი ლოკალიზებული ყოფილიყო და საწყის სტადიაშივე ჩამქრალიყო, გაეროს სწრაფი რეაგირების შედარებით მცირერიცხოვანი, მობილური ძალები რომ ჰყოლოდა თავის განკარგულებაში. ეს ძალები შეიძლებოდა საერთაშორისო ნებაყოფლობითი საფუძველზე შექმნილიყო, რაც მათ ობიექტურ და მიუმხრობელ ბუნებას დაადასტურებდა.

ეს ძალები შესძლებენ კონფლიქტის ზონაში სწრაფ განთავსებას და იმოქმედებენ რა შეზღუდული მანდატის ფარგლებში, დააშორებენ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და ამით გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგებისათვის პირობებს შექმნიან.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, აუცილებელი გახდება სპეციალური დეპარტამენტის ჩამოყალიბება გაეროს სამდივნოს ფარგლებში, რომლის ერთადერთი მიზანი კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება იქნება. ამ დეპარტამენტის ბირთვი ალბათ, ათი გამოცდილი და ავტორიტეტული პოლიტიკური მოღვაწისაგან უნდა შედგებოდეს და თითოეულ მათგანს, თავისი ფუნქციების შესასრულებლად, განსაკუთრებული უფლებები მიენიჭება და შესაბამისი ვალდებულებები დაეკისრება.

თვით ამ დეპარტამენტში შესაძლოა ჩამოყალიბდეს სპეციალური განყოფილება, რომელიც სწრაფი რეაგირების ძალებს გაუწევს კოორდინაციას. იგი შეაგროვებს ინფორმაციას, სადაზვერვო მონაცემებს და, საერთოდ, ოპერაციათა შტაბის ფუნქციას შეასრულებს. ეს განყოფილება აგრეთვე უზრუნველყოფს პოტენციური კონფლიქტური (სეპარატისტული ტენდენციების ჩათვლით) საშიშროების შესახებ საყურადღებო წინასწარი ინფორმაციის მოპოვებასაც.

ბუნებრივია, ისმის კითხვა ამ ძალების დაფინანსების შესახებ, რომელსაც ასე ვუპასუხებდი: დიახ, ეს, რა თქმა უნდა, დამატებით ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს მოითხოვს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მიზანი გაამართლებს საშუალებას. წარსულში ჩვენ მეტად ძვირად დაგვიჯდა ისეთი დაგვიანებები, რომელთა გამეორების ფუფუნების უფლებას საერთაშორისო საზოგადოება უკვე თავის თავს ვეღარ მისცემს.

რამდენიმე დღის წინათ ამ ტრიბუნიდან დაყენებით დაისვა საკითხი, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით „ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დეკლარაციის“ პრინციპები წევრ-სახელმწიფოთა კანონმდებლობაში შევიდეს. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ეროვნული უმცირესობებისათვის ფართო პოლიტიკური და კულტურული უფლებების მინიჭების პრინციპს, ისევე როგორც თითოეული ადამიანის უფლების დაცვას. შევეცდებით უფრო შორს წავიდეთ და ამ პრობლემის ყველა ასპექტის სისტემაში მოყვანა შემოგთავაზოთ.

რადგანაც ნებისმიერი უფლება შესაბამისის ვალდებულებასაც გულისხმობს, უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა, ისევე როგორც წევრ-სახელმწიფოთა კანონმდებლობები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პარალელურად შეიცავდეს დებულებებს ეროვნულ უმცირესობათა ვალდებულებების შესახებ იმ ქვეყნის მიმართ, რომლის შემადგენელ ნაწილსაც თვითონ წარმოადგენენ.

ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობებში ცალკეულ ლიდერთა და პიროვნებათა როლის ზრდას, მართებულად მიგვაჩნია აგრეთვე განხილულ იქნას საკითხი პიროვნების პასუხისმგებლობის შესახებ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უფლებათა და თავისუფლების დარღვევების გამო. ამრიგად, ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს წინადადებას საყოველთაოდ აღიარებულ თავისუფლებათა და უფლებათა უზრუნველყოფაში ცალკეულ პირთა, დაჯგუფებათა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაციის შემუშავების თაობაზე. სწორედ ამ კონტექსტში დაუჭირა მხარი საქართველომ ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში უზენაესი კომისრის პოსტის დაარსებას.

მე შევეცადე ამეღნიშნა ჩემი მთავრობის ზოგიერთი შეხედულება იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა გაეროს სტრუქტურასა და მუშაობაში შეტანა მიზანშეწონილი იქნებოდა თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ღრმა ცვლილებების გათვალისწინებით. ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთი ელემენტი წარმოვაჩინეთ, ყოვლისმომცველი და დაბალანსებული პროგრამა კი გენერალური მდივნის ბ-ნი ბუტროს-ბუტროს გალის „დღის წესრიგი მშვიდობისათვის“ და სხვა დოკუმენტებშია გაშლილი. მათი განხორციელება ბევრ იმ პრობლემას გადაჭრიდა, რომლებიც ჩვენ ამ დარბაზში განვიხილეთ და, როგორც ბ-ნმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ეს დროული „სისხლის გადასხმა“ იქნებოდა მთელი საერთაშორისო სისტემისათვის.

პატივცემულო დელეგატებო,

გაერო მეტად მნიშვნელოვან თარიღს უახლოვდება, ერთი წლის შემდეგ ჩვენი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების 50 წლისთავს აღვნიშნავთ. ეს სიმწიფის ასაკია, რომელიც მიღწევათა შეჯამების უფლებას გვანიჭებს და იმავე დროს ვალდებულებას გვაკისრებს წინ გავიხედოთ და განვსაზღვროთ ის, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

არსებობის ნახევარი საუკუნე და შეძენილი გამოცდილება კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს გაეროს, ისევე როგორც მის წევრ-სახელმწიფოებს, ისახება უფრო მნიშვნელოვანი მიზნები, კიდევ უფრო ფართოვდება სამოქმედო ჰორიზონტი. ამ მიზანთა ნაწილი ჩვენვე უნდა შევასრულოთ, ნაწილს კი მომავალი თაობა გააკეთებს. ჩვენ პასუხისმგებლობა გვაკისრია ისეთი მემკვიდრეობა შევქმნათ, რომელიც საიმედო ტრამპლინად გამოადგება კაცობრიობას 21-ე საუკუნეში კამარის შეკვრისა და მასში რბილად დაშვებისათვის.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ იგი დემოკრატიული სახელმწიფოა და მისი საგარეო პოლიტიკური მიზანია მსოფლიოს ყველა ერთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა. საქართველო არ იქნება საერთაშორისო მოვლენათა პასიური მაყურებელი. იგი საერთაშორისო საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობის თავის შესაფერის წილს კისრულობს და ჩვენი საერთო მიზნების ხორცშესხმაში თავის წვლილს შეიტანს.

გმადლობთ.

ჩვენი მარადიული თანამედროვე

(დასასრული)

[illegible]ბათა ავტორი; გიორგი ნიკოლაძე — სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, ქართული მათემატიკური სკოლის, მეტალურგიის, სპორტული მოძრაობის სულისჩამდგმელი, სულიერი და ფიზიკური სრულყოფის გაცოცხლებული ანტიკური იდეალი; და ბოლოს — იშვიათი ქალური და ადამიანური ხიბლით დაჯილდოვებული თამარი, — უფროსი ძმის ერთგული თანამდგომი ყველა მის საზოგადოებრივსა თუ სპორტულ წამოწყებაში.

ნიკოლაძეთა ოჯახს რუსუდანმა მიხეილ პოლიევქტოვი დაუკავშირა — ცნობილი ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ხოლო თამარი ცოლად გაჰყვა მაშინ ახალგაზრდა მათემატიკოსს, შემდგომ კი საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს. გიორგის ცოლი პარიზელ ქართველთაგან ჰყავდა — ქორქეტა ლამბაშიძე, — კეთილშობილი ოჯახური და ადამიანური ტრადიციების და თვისებების გამაერთიანებელი...

ნიკოლაძეთა კერა თავდაპირველად ქუთაისში იყო, ნიკოს მამის — იაკობის სახლში, რიონის პირას, თეთრ ხიდთან. შემდგომში, 1887 წლიდან, ამ კერამ დიდ ჯიხაიშში გადაინაცვლა, მერე ფოთში და საბოლოოდ თბილისში — ჩვენთვის კარგად ნაცნობ სახლში განოვის (აწ გალაკტიონ ტაბიძის) ქუჩაზე.

დიდ ჯიხაიშში, თავის დედულეთში, ლორთქიფანიძეთა ნასახლარზე, ნიკო ნიკოლაძემ ევროპული დონის, საჩვენებელი მეურნეობა გამართა: საქართველოში პირველად ჩამოტანილი კარაქის სადღვებებით, რძის სეპარატორებით და იმდროინდელი ტექნიკის სხვა სიახლეებით. აქვე გააშენა მან ეგზოტიკური მცენარეებით სავსე შესანიშნავი ბაღიც... დღეს, იმერელი თუ გურული კაცი აივნიდან ტრიფოლიატით შემოღობილ თავის ეზოს რომ გადახედავს, შესაძლოა არც იცოდეს, რომ ეს ტრიფოლიატი საქართველოში სწორედ ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა. (თავის დროზე „ნიკოლაძის ეკალს" ეძახდნენ კიდეც).

დიდი ჯიხაიშის სტუმრებს ტრიფოლიატზე უფრო ანცვიფრებდათ საქართველოში პირველად ჩამოყვანილი უზარმაზარი სენბერნარი. არც ამხელა ძაღლი არ ენახათ არასოდეს და არც იმნაირი თეთრი ესპანური სახედარი, რომელიც ნიკომ ევროპიდან დიდ ჯიხაიშამდე ამოგზაურა. რუსუდან ნიკოლაძე იგონებდა, როგორ ლამობდა აკაკი სურათი გადაეღო ამ თეთრ სახედართან.

აკაკისა და ნიკო ნიკოლაძის მეგობრობა ცალკე საუბრის თემაა. ისე მომხდარა, რომ უბრადაც ყოფილან... საზოგადოდ, მეგობრებიდან და კოლეგებიდან აბსოლუტურად უკონფლიქტო ურთიერთობა ნიკო ნიკოლაძეს, ვგონებ, მარტო კირილე ლორთქიფანიძესთან ჰქონდა — თავის თანშეზრდილ მეგობართან და ვაჟიშვილის ნათლიასთან.

აკაკი მეგობრობდა (უფრო მეტად თუ არა, არანაკლებ ვიდრე ნიკოსთან) მის უმცროს დებთან — ეკატერინესთან და ანასტასიასთან (კატოსთან და ანიჩკასთან — როგორც მათ შინაურობაში ეძახდნენ), რომელთა რიონისპირა პანსიონის ხშირი სტუმარი იყო ქუთაისში.

სიყვარულნარევი მეგობრობა, თუ მეგობრობანარევი სიყვარული, რომელიც ანასტასიას (აკაკისათვის — „პატარა ქალბატონს") ამ სხივნათელ პოეტთან აკავშირებდა, იშვიათი ხიბლითა და იდუმალებითაა გარემოცული. თუ გნებავთ — იდუმალების ხიბლით...

ახლა კვლავ ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკას დავუბრუნდეთ: ნიკოლაძეს შეეძლო ეკამათა ცნობილ თეოსოფ ბლავატსკაიასთან, ან საფრანგეთის ეკონომიკაზე ეწერა, მაგრამ, რაც არ უნდა ფართო ყოფილიყო მისი ინტერესების არეალი, მისი მთავარი საფიქრალი კვლავ და კვლავ სამშობლოს ბედ-იღბალი იყო: „რამ დასცა ჩვენი მამული?" — კითხულობს ნიკო ნიკოლაძე და თვითონვე უპასუხებს — „მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ" წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა..." („მამულის სიყვარული და მსახურება"). და კიდევ ერთი, ასევე საყურადღებო ციტატა ამ წიგნიდან: „სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველ ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება".

ნიკო ნიკოლაძის რწმენით, ამ ეკონომიკური თუ მორალური დაცემისაგან თავდასახსნელად ქართველობამ ძალა თვითონვე უნდა მოიკრიფოს: „მარტო ჩვენის თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ. მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც".

ეს თემა — საკუთარ ძალებზე დაყრდნობისა და საკუთარი თავის იმედისა — განსაკუთრებით გამძაფრდა ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური იმედი გაჩნდა. მის იმდროინდელ წერილებს ამგვარი რეფრენი გასდევს: „სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით"; ან კიდევ — „პოლიტიკური თავისუფლება შედეგია მრეწველური განვითარებისა".

ეს მოწოდებები ნიკო ნიკოლაძისათვის ლიტონი სიტყვები რომ არ იყო, ამას მთელი მისი ბიოგრაფია მოწმობდა: გასული საუკუნის ქართველ მოღვაწეთაგან, ილიას გარდა, ვგონებ არცერთს არ ჰქონდა ასე ბუნებრივად შეთავსებული ქართული ხასიათისათვის ესოდენ უცხო პრაგმატიზმი („ულმობელი საქმის კაცი" — როგორც არჩილ ჯორჯაძე ამბობს) და ის ღრმა სულიერება, თუ გნებავთ რომანტიზმი, რომელმაც იგი ჩერნიშევსკისთან, გერცენთან, ფრანგ უტოპისტ სოციალისტებთან მიიყვანა. კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისება ნიკო ნიკოლაძის ნატურისა მისი დაუოკებელი ცნობისწადილი გახლდათ: არ მოიძებნებოდა ცხოვრების ისეთი სფერო, რომლითაც მისი ჩაკვირვებული მზერა და ცოცხალი გონება არ დაინტერესებულიყოს.

ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკულ საქმიანობაზე მონოგრაფიებია დაწერილი. მან ყველაფერი გააკეთა, რათა ჭაბუკური ოცნებებისა და უტოპიების სანაცვლოდ (თუ სახსოვრად) განეხორციელებინა ის კონკრეტული ჩანაფიქრები, რომლებიც მის მშობელ ქვეყანას გაუადვილებდნენ გზას ღირსეული და თავისუფალი არსებობისაკენ.

აქ, ცხადია, ყველას გვახსენდება ნიკო ნიკოლაძის ოცწლიანი ქალაქისთავობა ფოთში, მისი განუზომელი წვლილი პატარა, დაჭაობებული დაბის თანამედროვე სანავსადგურო ქალაქად გადაქცევაში; გვახსენდება მისი წვლილი



ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სოფელ დიდ ჯიხაიშში.

ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის ათვისებაში, ამ საბადოებთან რკინიგზის ხაზის გაყვანაში. ... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ (რკინიგზასთან დაკავშირებით: ისეთი სიტყვები, მაგალითად, როგორიცაა „ლიანდაგი" ან „ორთქლმავალი" ქართულ ენაში სწორედ ნიკო ნიკოლაძემ დანერგა).

შესაძლოა იმიტომაც, რომ ქუთაისელი დიდვაჭრის შვილი იყო, ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ განვითარებულ მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი იყო ცივილიზებული ვაჭრობა და იმდროინდელი ქართველობის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, სათაკილოდ არ მიაჩნდა საქმიანობის ეს სფერო. მას სათაკილოდ და სამარცხვინოდ მიაჩნდა მხოლოდ ის მტაცებლური მეთოდები, რომლებსაც ქართველ ვაჭართა ახალთაობამ მიმართა. ამიტომაც ადვილი ასახსნელია ნიკო ნიკოლაძის შეკითხვის ტონი: „ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ეს ვაჭრობა კი არა, ღმერთმა იცის, რაა?" (ისე, კი განცვიფრდება კაცი, — როგორ მეორდება ყველაფერი ჩვენს ისტორიაში! — ზ. ა.)

სოციალური პროგრესი, ნიკო ნიკოლაძის რწმენით, მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ, ევოლუციური გზით მიიღწევა. ჯერ კიდევ 1866 წელს ჟენევაში გამოცემული მისი ბროშურა — „მთავრობა და ახალი თაობა" მკითხველს უსაბუთებდა, რომ რევოლუციის, ტერორისა და ძალდატანების გზით თუნდაც საძულველი ხელისუფლების ჩამოგდება ქვეყანას სისხლიან მორევში ჩაითრევდა. (რაც გამართლდა კიდეც). ამიტომაც ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის კრიტიკულად უყურებდა ანარქისტებისა თუ სოციალ-დემოკრატების საქმიანობას (მიუხედავად იმისა, რომ რუსული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი — აკაკი წერეთელი, მისი დისშვილი გახლდათ), ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატები „თავადაზნაურულ პროლეტარიატად" მონათლა ამ პარტიის სოციალური წარმომავლობისადმი მიძღვნილ ერთ გონებამახვილურ წერილში.

ნიკო ნიკოლაძის სოციალური იმედების მეტი ნაწილი ერობის შემოღებასთან იყო დაკავშირებული. მას სურდა ქართულ სინამდვილეში ისევე დანერგილიყო ეს სოციალური ინსტიტუტი, როგორც ქართულ ენაში დაინერგა მის მიერ შემოტანილი ეს ტერმინი (რუსული „Земство"-ს ანალოგიით). მაგრამ ერობის ნაცვლად ჩვენში ჯერ 1905 წლის შფოთი შემოვიდა, მას მერე კი განუწყვეტელი მოლოდინი მომავალი ისტორიული გარდატეხისა. ამ მოლოდინმა თავისებურად ნიკო ნიკოლაძეც აიტაცა და 1913 წელს გამოცემული მისი წიგნი „ჩემ პოლიტიკაზე" არა მარტო თავის მართლებაა ფოთში შეძენილი მტრების მოსაგერიებლად, არამედ ერთგვარი შინაგანი შემზადებაც მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე.

ვინ იცოდა უკეთ თავის თვისტომთა ზეატაცებული ხასიათი, თუ არა ნიკო ნიკოლაძემ. ამიტომაც წინასწარ აფრთხილებდა იმ, ზემოხსენებულ წიგნში: „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევაო".

ნიკო ნიკოლაძის პიროვნული პორტრეტის დასახატავად, ალბათ, არც ის არის ინტერესმოკლებული, რომ ზომიერება, სამწუხაროდ, ასე იშვიათი ჩვენს ყოფაში, ნიკო ნიკოლაძის ხასიათის განუყოფელი თვისება გახლდათ. მისი უმცროსი ძმა — კონსტანტინე ნიკოლაძე იგონებდა: „ნიკოს ძალიან უყვარდა დროს გატარება, მხიარული და მოძრავი კაცი იყო. ნადიმში ძალიან ილხენდა, ღვინოსაც სვამდა, მაგრამ ზომიერად. დამთვრალი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ცხოვრების წესი ევროპული ჰქონდა..."

ვინ იცის, იქნებ, გარდა თანდაყოლილი ნიჭისა, სწორედ ეს ზომიერება, ეს შინაგანი დისციპლინა და ევროპეიზმია, ასე რომ ანათესავებს ერთმანეთთან ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს და დიდად განაპირობებს კიდეც მათი მოღვაწეობის მასშტაბსა და შედეგებს.

ნიკო ნიკოლაძის წერილების წყება 1913-1916 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თითქოს საგანგებოდაა გამიზნული დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების ანბანის შესასწავლად, ხოლო 1917-1918 წლებში გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული მისი — „საქართველოს ორიენტაცია", „როგორი რესპუბლიკა?", „ეროვნული ყრილობა", „საქართველოს მრეწველობა", „საქართველოს ფინანსები", „რუსეთის რღვევა და საქართველო" ფაქტობრივად ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების მზამზარეული პროგრამა იყო.

როდესაც ამ დამოუკიდებლობის მოპოვება უკვე რეალური შეიქმნა, მაგრამ არანაკლებ რეალურად გამოიკვეთა ისიც, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, საქართველოს ბათუმ-ახალციხის ოლქების დაკარგვა ემუქრებოდა, ნიკოლაძემ 1918 წლის აპრილ-მაისში თურქეთის მხარესთან საზავო მოლაპარაკებებში მიიღო მონაწილეობა. მისმა პიროვნულმა წვლილმა დიდად განაპირობა მოვლენათა შემდგომი მსვლელობა: ისიც, რომ გერმანია საქართველოს იმჟამინდელი საზღვრების ხელუხლებლობის გარანტი გახდა და ისიც, რომ ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

დღეს ვერავინ გეტყვით, რით დამთავრდებოდა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია, ნიკო ნიკოლაძეს რომ არ მიეღო მასში მონაწილეობა, დარჩებოდა თუ არა ბათუმ-ახალციხე საქართველოს ფარგლებში, ან როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი, მის სათავეში ნოე ჟორდანიას ნაცვლად ნიკო ნიკოლაძე რომ მდგარიყო...

ერთი რამის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: ეს დიდი მოღვაწე ტყუილად არ დაშვრა და ჩვენი მიბრუნება მისი ნააზრევისაკენ, ჩვენი წადილი მისი რჩევის მოსმენისა, მისი ხსოვნის აღსანიშნავად ჩვენი ერთად ყოფნაც კი — მისი მარადიული სიცოცხლის უტყუარი დასტურია.

ამიტომ არის, რომ ესოდენი მოწიწებით ვიყურებით მთაწმინდისაკენ და ჩვენთვის დანატოვარ ანდერძად ჩაგვესმის ნიკო ნიკოლაძის ოდესღაც ნათქვამი: „მწამს, რომ ქართველი ერი ამ დიდი განსაცდელის დროსაც გამოვა გამარჯვებული".

ზაზა აბზიანიძე,
პროფესორი.

ნიკო ნიკოლაძე:

„ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა"...

დღეს ჩვენ ის ნაკლოვანება გვჭირს, რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასხავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდეს.

საზოგადოებრივი წესი კაცის ხელით შექმნილია, ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა. კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირად მოაწყობს თავის ცხოვრებას, რომ არავინ სხვას ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა და გვარათ ტვირთს უადვილებდეს.

საზოგადო ცხოვრებაში არაფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანეთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულნი არიან.

ყველას ნება აქვს გაზეთებში, წიგნებში და სახალხო კრებებში თავისი აზრი ავრცელოს, თავისი შეხედულება გამოთქვას, სხვის მოსაზრებას წინ აუდგეს და თეორიულად რაც უნდა ის იქადაგოს. მისი საქმეა მკითხველი საზოგადოების და ხალხის თავისკენ გადაყვანა, თავის აზრზე დაყენება. მაგრამ როცა საზოგადო მოქმედება საჭიროდ ხდება, ყველამ თავისი საკუთარი კერძო შეხედულება და უთანხმოება უნდა დაივიწყოს საერთო, უმრავლესობის აზრის ასრულებაში მოსაყვანათ.

ბევრი რამეა ქვეყანაზე ძნელი და მოუთმენელი, მაგრამ ყველაზე უძნელესი ის არის, რომ კაცს სათქმელი აქვს, და თქმა კი არ შეუძლია. როცა ის ხედავს, რომ მისი საყვარელი პირი შეცდარი ან უნუგეშოა, როცა იმას ჰგონია, რომ თავისი სიტყვით იმას ცოტათი მაინც შეუძლია ან შეცდომის გასწორება, ან იმედისა და ნუგეშის მოგვრა, და როცა ამასთანავე ის იძულებულია გაჩუმდეს, გულხელი დაიკრიფოს და სხვების მოქმედებას შორიდან ხმაამოუღებლად უყუროს... ამაზე უფრო მწარე შემაწუხებელი და აუტანელი უბედურება, ღმერთმანი, ჯოჯოხეთშიაც არ მოუგონია მზაკვარე მასწავლებელს.

ყოველ საზოგადოებაში თვითეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გავუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ.

რედაქციის სტუმარი

ტექნიკური დახმარების მიზნით

როგორ მიმდინარეობს პრივატიზაცია საქართველოში, რას ფიქრობს რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ამასთან დაკავშირებით, რა წარმატებები გვაქვს ამ მხრივ, რა სიძნელეები და პრობლემები გველობება, რისი გაკეთებაა კონკრეტულად საჭირო მათ დასაძლევად და, საერთოდ, ამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის საბოლოო წარმატება-შეუქცევადობისთვის? — ძირითადად სწორედ ამის გასაგებად და ჩვენთან პრივატიზაციის პროცესის ხელშესაწყობად, ტექნიკური დახმარების მიზნით სამსახურებრივი მივლინებით ჩამოვიდა ახლახან საქართველოში, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, ევროგაერთიანების ექსპერტი, ფრანგი ეკონომისტი ბატონი ჟორჟ ივანოვი.

გუშინ ბატონი ჟორჟი „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას ეწვია. სარედაქციო კოლეგიის წევრებთან მისი საუბრისას გამოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება და მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება როგორც რედაქციას, ისე პატივცემულ სტუმარსაც უთუოდ დაეხმარება ამ მხრივ მათი მისიის უკეთ შესრულებაში.

ჩვენ გვწერენ

ქორეოგრაფიას უჭირს

ეროვნული კულტურის განვითარების ერთიან სისტემაში კარგა ხანია ქართულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა, მაგრამ დღეს მას მძიმე დღეები უდგას.

როგორც ყოველ საქმეს, ქორეოგრაფიასაც სჭირდება მაღალკვალიფიციური პროფესიონალები. იმედს აღვივებს ახლად შექმნილი საქართველოს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც უნდა დავეხმაროთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სახელმძღვანელოებით.

ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების სწორ აღზრდას. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ჭეშმარიტად საბავშვო ქორეოგრაფიული კოლექტივები, რომლებიც შეასრულებენ ქართულ ხალხურ ფოლკლორზე დაყრდნობით შექმნილ საბავშვო რეპერტუარს.

კარგა ხანია მომწიფდა აზრი ქორეოგრაფიის მუზეუმის შექმნის შესახებ. მუზეუმში ექსპონირებული მასალები ხელოვნების მოყვარულთ გააცნობდა ქართული ქორეოგრაფიის განვითარების ისტორიასა და მის თავისებურებებს, გაცოცხლდებოდა ეროვნული ყოფისა და სულიერების უნიკალური მასალები.

ცნობილია, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული დღეს რომელიმე ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობის მოწყობა. ხშირია შემთხვევები, როცა ესა თუ ის ანსამბლი მიწვეულია პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში, მაგრამ უსახსრობის გამო წასვლას ვერ ახერხებს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ანსამბლები, რომლებიც წლების მანძილზე ქართულ ხელოვნებას აზიარებდნენ მთელ მსოფლიოს, დღეს კარჩაკეტილები არიან. რასაკვირველია, ამით ბევრს კარგავს დამოუკიდებელი საქართველო. ამგვარი გასტროლების მოწყობა საშუალებას მოგვცემს საქართველოშიც გაიმართოს საერთაშორისო ფესტივალები. ისიც სასურველია, რომ აღდგეს რესპუბლიკური, სარაიონო და საქალაქო დათვალიერებები. კარგი იქნება, თუ წელიწადში ერთხელ შევარჩევთ რესპუბლიკაში არსებული კოლექტივების დადგმულ საუკეთესო ახალ ორიგინალურ ხალხურ ცეკვას, ცეკვის დამდგმელსა და შემსრულებელს. ამის წასახალისებლად საჭიროა დაწესდეს სათანადო ჯილდო და ფულადი პრემია.

ძალიან გაძნელებულია საცეკვაო კოსტიუმებისა და წუღა-უძიროების დამზადება-შეკერვის საქმე, ხოლო ქამარ-ხანჯლისა და ფარხმლის დამზადება დღეს გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სახელმწიფო სამკერვალოებისა და სახელოსნოების შექმნა.

ყველა ამ პრობლემის მიუხედავად, ჩვენი ქორეოგრაფიის მესვეურნი ფასდაუდებელ შრომას ეწევიან მოცეკვავეთა ახალი თაობების აღზრდისათვის. ისინი ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ გაუმჯობესდეს მატერიალ[illegible] რობები.

საქართველოს ქორ[illegible] კარგად იციან, თუ [illegible] კოლებათა ფონზე [illegible] ეროვნული კულტ[illegible] ნისთვის თავდ[illegible] და მაინც, იმედი [illegible] ლი ქორეოგრაფიის [illegible] სათანადო ყურადღება [illegible] რაც ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს ახალ შემოქმედებით ძალას შემატებს.

ბორის მუნჯიშვილი.

სათქმელი უნდა ითქვას

ზნეობრივი მაგალითი

კიდევ ერთმა ქარიშხალმა გადაიარა პარლამენტის სხდომათა დარბაზში... კიდევ ერთხელ აფორიაქდა საქართველო. არ ვაპირებ 27-30 სექტემბრის სხდომების შეფასებას, თუნდაც იმიტომ, რომ მეც იმ სხდომების მონაწილე ვარ და არც თუ პასიური მონაწილე. მაგრამ, ალბათ, მაქვს უფლება, ხალხს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო.

27 სექტემბერს, როცა ერთმანეთს დაემთხვა არძინბას ზეიმი, ანუ სოხუმის დაცემის დღე, პარლამენტის მორიგი სხდომა, გაეროში საქართველოს დელეგაციის გამგზავრების დრო და შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი მოსკოვში, ეკონომიკური რეფორმის ყველაზე მტკივნეული პროცესის ფონზე დესტრუქციულმა ძალებმა კიდევ ერთხელ სცადეს შარშანდელი სცენარის განმეორება, რასაც, მათი თვალსაზრისით, შესაძლოა მოჰყოლოდა სახელმწიფო გადატრიალება. გეგმა ასეთი იყო: რესპუბლიკის მოედანზე ჩაეტარებინათ საგლოვიარო მიტინგი ლტოლვილთა რაც შეიძლება დიდი მასის მონაწილეობით (იმედი ჰქონდათ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო დანარჩენი მოსახლეობის გამოსვლისა), ხოლო პარლამენტში მიეღწიათ თუ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომისთვის არა, ყოველ შემთხვევაში, მისი დისკრედიტაციისათვის.

[illegible]თი მოლოდინი არ გამართლდა: მოსახლეობა არ წამოეგო ანკესს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მერყეობის ნიშანწყალი არ დასტყობია, პარლამენტიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. დესტრუქციულ მოვლენებს არა შორსმჭვრეტელი, მაგრამ გამოცდილი პრაქტიკოსის ხელი რომ მართავდა, იქიდანაც ჩანს, რომ პარლამენტის 27, 29-30 სექტემბრის სხდომები რამდენადმე განსხვავებული სცენარით განვითარდა. 27 სექტემბერს ოპოზიციამ კატეგორიულად დააყენა სახელმწიფოს მეთაურის „ნებაყოფლობითი" გადადგომის საკითხი. ამას თან ახლდა ძალისმიერი დაწოლაც, რაც უვადო შიმშილობის გამოცხადებაში გამოიხატა, ცილისწამებაც, რაც სახელმწიფო მეთაურის წინააღმდეგ წაყენებული უმძიმესი ბრალდებებით „დასაბუთდა". ყველაფერი ეს ეფუძნებოდა ელემენტარული ეთიკური ნორმების სრულ უგულებელყოფას. როლები, როგორც ყოველთვის, გამომსვლელთა, „რეპლიკიორთა", პანიკიორთა, სუფლიორთა, უზრდელთა და ცინიკოს „ზრდილობიანთა" შორის განაწილებული იყო. პარლამენტის ოპოზიციამ თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ პარლამენტს გარეთ მოვლენები საწინააღმდეგო გზით წარიმართა. მოსახლეობამ კარგად დაინახა, რაც პარლამენტში ხდებოდა, სულაც არ ისახავდა მიზნად ქვეყნის კეთილდღეობას. აუცილებელი შეიქნა როგორმე ოპოზიციის „ღირსეული" გამოყვანა კრიტიკული მდგომარეობიდან, ტაქტიკური უკანდახევა. სწორედ ამიტომ 29 სექტემბერს პარლამენტი გაეცნო მოშიშვლე მონარქისტების კომიკურ განცხადებას სახელმწიფო მეთაურის მიმართ: წაბრძანდით, ბატონო, გაეროში, გამოიყენეთ თქვენი მსოფლიო ავტორიტეტი, რაც დღეს ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას და როცა ჩამოხვალთ, თქვენს გადაყენებას შემდეგაც მოვესწრებითო.

ოპოზიციონერი ორატორებიც უკვე სრულიად განსხვავებული სახით (არ მინდა ვთქვა — ნიღბით) წარუდგნენ საზოგადოებას — ინტელიგენტურები, ელეგანტურები... როგორ გეკადრებათო, ვინ ჩვენა და ვინ ცილისმწამებლებიო, ვინ ჩვენა და ვინ უზრდელებიო! ეს რას გვაბრალებენო, ჩვენ ხომ ქვეყნისთვის ვზრუნავთ, ხელისუფლება რა თავში სახლელად გვინდა, ჩვენზე უანგარო ხალხი განა ცისქვეშეთში არსებობსო!

ამ მხრივ დამახასიათებელი იყო, მაგალითად, ერთ-ერთი რესპუბლიკელის გამოსვლა, რომელმაც ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ ცალკეულ ცინიკურ გამოთქმებს თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, ვერ შეედავები. მან დახატა ჩვენი დუხჭირი ცხოვრების სურათი. აბა, როგორ უნდა შეედავო, როცა ამბობს: აფხაზეთისათვის ბრძოლაში დავმარცხდითო, მოსახლეობის საარსებო მინიმუმსაც ვერ ვაკმაყოფილებთო, ენერგეტიკული კრიზისი დაგვიდგაო, ქვეყანა მაფიამ და კრიმინოგენულმა ვითარებამ წალეკაო და ა. შ.

დააკვირდით, რამდენად მომგებიანია ასეთი პოზა! მით უმეტეს, როცა ამას ამბობს ოპოზიციონერი, რომელიც თურმე წინასწარ ხედავდა ყველაფერს, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მოითხოვდა ეკონომიკურ რეფორმას, ხელისუფლების რეორგანიზაციას და ა. შ.

სულაც არ აწუხებთ, მასაც და მის თანამოაზრეებსაც, რომ ეს გამოსვლა არ იყო პოლიტიკოსის სიტყვა. უკეთეს შემთხვევაში ეს იყო ჟამთააღმწერლის, თანაც უძველესი დროის ჟამთააღმწერლის — ლოგოგრაფოსის შესაფერისი ნაამბობი, რომელსაც მეცნიერული ანალიზის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

მართლაც, ასეთია ჩვენი დუხჭირი ცხოვრების სურათი, მაგრამ თუ პოლიტიკოსები ვართ, ხომ უნდა ვეცადოთ გავხსნათ ურთულესი კვანძი, რომელიც შეიკრა მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარების, უზარმაზარი კომუნისტური მონსტრის დაშლის, ეკონომიკური პლატფორმის საპირისპიროდ შეცვლის აუცილებლობის, ათწლეულების მანძილზე ჩადებული ეთნიკური ნაღმების აფეთქების, სოკოებივით მომრავლებული პოლიტიკური ძალების შეტაკების, სამოქალაქო ომის შედეგად. ეს ყველაფერი და კიდევ სხვა მრავალი ნაკადი ერთდროულად დაგვატყდა თავს და ერთ კვანძად შეიკრა ყულფში, რომელშიც თავი გაუყრია ჩვენს საწყალ ქვეყანას. ამ დროს მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია, ჟამთააღმწერლობა, ფრინველებზე მჩხიბაობა და ზევსის არწივის მოძრაობის მიხედვით მოქმედება არაფრის მაქნისია. რომელი დელფოს სამისნოში დაადგინეს ჩვენმა პოლიტიკურმა მოგვებმა უბედურების სათავე? ეკადრებათ ადამიანებს, რომელთაც თავი პოლიტიკოსებად მოაქვთ, თითის გაშვერა ერთი პიროვნებისაკენ, მათგან განსხვავებით სწორედ ნამდვილი პოლიტიკოსისაკენ, რომელსაც შეუძლია გაერკვეს იმ საბედისწერო კვანძის არსში, სულაც რომ არ იწყება ლესელიძეში და არ თავდება დედოფლისწყაროში? მხოლოდ მასვე შეუძლია, მაგრამ უკვე ყველა ჩვენგანის თანადგომით იმ კვანძის გახსნა. ოპოზიციამ 29 სექტემბერს შეცვალა ტაქტიკა, თითქოს დაივიწყა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთის ერთ-ერთი „მხსნელი" მოითხოვდა სახელმწიფოს მეთაურის სასამართლოსათვის გადაცემას. არაო, ბრძანეს, ჩვენ მხოლოდ მეთაურის ფუნქციების განსაზღვრას და გადანაწილებას მოვითხოვთო! ჩვენც ჩავავლებთ ხელს იმ კვანძსო!

სადმე გინახავთ თუნდაც უბრალო ძაფის გორგალი რომ რამდენიმე კაცს ერთდროულად გაეხსნას?

მოფიქრებული იყო როგორც 27 სექტემბრის, ისე 29 სექტემბრის მოქმედების გეგმა. ოპოზიცია წარმოდგა ინტელიგენტური, ელეგანტური სახით, მაგრამ მაინც ვერ გაუძლო ერთ-ერთმა მათგანმა უჩვეულო ახალ როლს და ზედ ტრიბუნაზე შეიგინა, ციტირებისთვის ბოდიშს ვიხდი — „შეგვაძვრინა".

პირდაპირ თავზარი დასცა ოპოზიციას მოთხოვნამ — გვეყარა კენჭი იმისათვის, თუ ვინ უჭერს მხარს სახელმწიფოს მეთაურის გადადგომაზე საკითხის დაყენებას. ოპოზიციას არ სურდა საჯაროდ ამის აღიარება და არც უარყოფა შეეძლო, რადგან ეს მოასწავებდა მისი, როგორც ოპოზიციის, პოლიტიკური კარიერის დასასრულს.

კარიერაზე უარი ვერ თქვა ოპოზიციამ და ბოლოს გაბედა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. შედეგი ყველასათვის ნათელია, სამდღიანი დებატები ოპოზიციის სრული ფიასკოთი დამთავრდა.

ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ თავისებური შეფასება მისცა პარლამენტის სხდომებს და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გამაოცა მის მიერ მამარდაშვილისეული გამოთქმის — „ეშმაკი გვათამაშებსო" დასადასტურებლად ორი მაგალითის მოყვანამ, ორივე ეხებოდა მისთვის მისაღები შევარდნაძის კურსის მხარდამჭერებს! ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის სხდომა აბსურდის თეატრს შეადარა და, რას ერჩოდა აბსურდის თეატრს, რომელიც მაღალინტელექტუალური თეატრიაო. არსებობს გამოთქმა „საომარი მოქმედების თეატრი", რომელსაც არავითარი კავშირი სასცენო ხელოვნებასთან არა აქვს. ისეთ მოქმედებებზედაც, რომელთაც აგრეთვე არავითარი კავშირი არა აქვს ხელოვნებასთან, ამბობენ — „სპექტაკლი გამართაო", „როლი შეასრულაო", „თეატრალურად იქცევაო", „ეს რა თეატრი გამართეთო" და სხვა მრავალი. არც ერთი ეს გამოთქმა არ გახლავთ ხელოვნების შეურაცხმყოფელი, არამედ დაცინვაა იმ მოქმედებისა, იმ სიყალბისა, რომელიც ცხოვრებაში გვხვდება, ასე რომ, ზურაბ ჟვანია სულაც არ შეუცდენია „ეშმაკუნას", როცა ჟორჟოლიანის მიერ შექმნილ სიტუაციას აბსურდული უწოდა. „აბსურდის თეატრი" ამ შემთხვევაში ნიშნავდა მხოლოდ აბსურდის ასპარეზს.

არც მე შევუცდენივარ „ეშმაკუნას", როცა მივანიშნე პიროვნებაზე, რომელმაც ისეთი ტრაგედია გადაიტანა, რომ არ შეიძლება იყოს აგრესიული და კაცთმოძულე და ასეთ ადამიანს მონასტერი უფრო დააშოშმინებდა, ვიდრე პარლამენტი. მე ბრალს, რა თქმა უნდა, არავის ვდებდი და ისიც ვიცოდი, რომ ისეთი კეთილშობილი კაცი, რომელიც მზად არის თვითონ დაიბრალოს აფხაზეთში დამარცხება, ბრმა შემთხვევის თუ დაინტერესებული პირების წყალობით შვილის დაღუპვას შესაძლო მსხვერპლს არ დააბრალებდა. ვინ დაიჯერებს, რომ აფხაზეთში ბატონ ნიკო ჭავჭავაძის მოქმედებით თუ უმოქმედობით დავმარცხდით? მაგრამ იგი, როგორც ქართველი, გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას, სხვას როდი აბრალებს. და ეს დიდი ზნეობრივი მაგალითია! მეც მინდა ზნეობის ასეთ სიმაღლეზე ვიდგე. ამასვე ვუსურვებ ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს, ნუ მოერევათ მათაც „ეშმაკუნები"!

რომან მიმინოშვილი.

სხვა გაზეთებიდან

პარლამენტი უბარიკადებოდ

გთავაზობთ გაზეთ "მოსკოვსკიე ნოვოსტში" დაბეჭდილ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ივანე რიბკინის წერილს „პარლამენტი უბარიკადებოდ", რომელიც, ვფიქრობთ, ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივი იქნება ქართველი მკითხველისათვის. როგორც დაინახავთ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს (და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობის პარლამენტებს) ბევრი რამ აქვთ საერთო პრობლემებისა თუ სამომავლო გეგმების თვალსაზრისით, არც მისთვის არის უცხო მიტინგომანია, ურთიერთაუტანლობა და პოსტკომუნისტური სივრცის პოლიტიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სხვა „საყმაწვილო სენი". ამდენად, დამაფიქრებელია ი. რიბკინის დასკვნებიც.

ჯერ კიდევ ზაფხულში ანალიტიკოსები გვიწინასწარმეტყველებდნენ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების გამწვავებას შემოდგომით. ზოგჯერ პროგნოზები უფრო პოლიტიკურ ლაქლაქს გვახსენებდნენ. იქნებ ამიტომაც, სწორედ მათი გავლენით პარლამენტმა გასული სესიის ბოლო დღეებში მიტინგი გაგვახსენა. დღეს კი წამოიჭრა კითხვა: ახალ სესიასაც ამითვე ხომ არ დავიწყებთ — პოლიტიკური განცხადებებით, მოწოდებებით, ურთიერთაუტანლობით? ხელს ხომ არ ავილებთ ახლახან დაწყებულ კანონშემოქმედებაზე?

ასეთი საფრთხე არსებობს. მაგრამ განა ღირს მათი გაზვიადება?

ჯანსაღად გავიაზროთ. ეკონომიკური სიტუაცია რუსეთში მძიმეა, მაგრამ ნაწინასწარმეტყველევი დაქცევა ჯერაც არ მომხდარა. მეტიც, ფაქტია ცვლილებები უკეთესობისაკენ. სარეკორდოდ დაბალ დონემდე დაეცა ინფლაცია. შესამჩნევად ნელა იზრდება ფასები და წარმოებაში საერთო დაქვეითებისას დაისახა ზრდის წერტილები. იგივეა პოლიტიკურ ცხოვრებაშიც: არის დაპირისპირებები სხვადასხვა ძალებს შორის, არის დავა, მაგრამ გამოჩნდა მათი მოგვარების მექანიზმიც — ხელშეკრულება საზოგადოებრივი თანხმობის შესახებ. თუმცა, ხელშეკრულება მთლად იდეალური როდია, მაგრამ მაინც მუშაობს. და ეს ხდება თანაბარი საზოგადოებრივი განწყობილების ფონზე, რომელიც განსაკუთრებით იგრძნობა რუსეთის პროვინციაში.

ერთი სიტყვით, ყველა ლაპარაკობს მართალია დროებითს, მაგრამ მაინც სტაბილიზაციაზე. თუმცა, ასეთი ვითარება სხვადასხვა პოლიტიკოსებში სხვადასხვაგვარ გრძნობებსა და ზრახვებს იწვევს.

ზოგს მიაჩნია, რომ „მშვიდობიანი შესვენება" საზოგადოებას შანსს მისცემს შემოქმედებითი მუშაობისათვის.

სხვებს კი, პირიქით, თავისი ძალებისთვის გამოყენება ვერ მოუნახავთ. რუტინული მუშაობა იმათთვის მოსაწყენია, თანაც, თავს ვერ ართმევენ მას. მათი სტიქიაა — მიტინგი, ისინი მგზნებარე სიტყვების ოსტატები, ეპიტაფიის მოყვარულები არიან. ამგვარი პოლიტიკოსები ძველებურად „დიდ ძვრებს ეძებენ. აქედან — იდეა: ხალხს მოათხოვინონ რეფერენდუმი პრეზიდენტისათვის უნდობლობის გამოცხადებით (რომელსაც სხვათა შორის, სიმართლის თვალსაზრისით, არავითარი რეალური პერსპექტივა რომ არა აქვს). აქედან — ცდები: სესიაზე გაიტანონ მინისტრთა კაბინეტის გადადგომის საკითხი. აქედან აქცია — „რუსეთის მიჯნა."

და მაინც, როგორც ჩემი დაკვირვებები მიჩვენებს, სახელმწიფო სათათბირო (დუმა) მიტინგად არ უნდა გადაიქცეს. ბოლო დღეებში ვესაუბრე ფრაქციათა ბევრ ლიდერს — ვესაუბრე ეგორ გაიდარს („ვიბორ როსიი"), ვლადიმერ მედვედევს („ახალი რეგიონული პოლიტიკა"), მიხეილ ლაპშინს (აგრარული ფრაქცია), ნიკოლოზ ტრავკინს (დპრ-ის ფრაქცია), ბორის ფიოდოროვს („12 დეკემბრის ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი"), გენადი ზიუგანოვს (რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ფრაქცია), სერგეი შახრაის (დრეს-ის ფრაქცია)... და ეჭვი არ მეპარება, რომ: როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ამ ადამიანთა პოლიტიკური შეხედულებანი და შეფასებები, ყველა მზად არის დიალოგისათვის. მათი მთავარი ინტერესია — ნაყოფიერი საპარლამენტო მუშაობა, მათი კრედოა — დავის გადაჭრა პარლამენტის კედლებში და არა მოედნებზე.

არა, არც ერთი ჩვენგანი ილუზიებს არ იქმნის და ყველა არსებულ პრობლემას ფხიზლად აფასებს. მაგრამ, ნუთუ დემონსტრაციები და პიკეტები დაგვეხმარება სიძნელეების დაძლევაში? ნუთუ მწარე გამოცდილება არაფერს გვასწავლის?

ჩვენ გვჭირდება თანამიმდევრული წინსვლა, გადამჭრელი და ენერგიული, მაგრამ უისტერიოდ და უპანიკოდ. ყველა დონეზე — პრეზიდენტის გარემოცვაშიც, მთავრობაშიც, ფედერალური კრების ორივე პალატაშიც. სხვათა შორის, როგორც მგონია ხელისუფლების სტრუქტურებს შორის ურთიერთმოქმედება ამიერიდან უფრო ნაყოფიერი იქნება. პარლამენტში მუდმივად იმუშავებენ პრეზიდენტისა და მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლები. ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შექმნილია სპეციალური სამმართველო, რომლის კურატორია გიორგი ატასოვი.

ახლახანს შევათანხმეთ ეკონომიკური საქმიანობის გეგმა (სულ 22 კანონპროექტი). და ის, ჩემი აზრით, ისეთია, რომ ამომრჩევლები ველარ უსაყვედურებენ პარლამენტს სახელმწიფო ინტერესებს უგულებელყოფთ.

უპირველესად ყოვლისა, ვაპირებთ საბოლოოდ მივიღოთ სამოქალაქო კოდექსი — ეს ეკონომიკური კონსტიტუცია, ურომლისოდაც არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს. შემდეგ — სისხლის სამართლის კოდექსი. დღეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება ათობით შესწორებისა და შესწორებათა შესწორებებისაგან, იგი დიდი ხანია დაძველდა და თავისთავად ართულებს გამოძიების ორგანოების, სასამართლოებისა და პროკურატურის მუშაობას, შემდგომში კი, რა თქმა უნდა — 1995 წლის ბიუჯეტი და მასთან პარალელურად საგადასახადო კოდექსი, რომლის მთავარი ამოცანებია — წაახალისოს სასაქონლო წარმოება, ინვესტიციები, სოციალური სფეროს განვითარება. სულ სახელმწიფო სათათბიროში პირველი კითხვით მიღებულია 40 კანონპროექტი, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა დამუშავდეს.

განსაკუთრებული პრობლემაა — კანონები საარჩევნო სისტემის შესახებ. ჯერ კიდევ არა გვაქვს კანონი პრეზიდენტისა და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ, არც კანონი ფედერაციის საბჭოს ჩამოყალიბების, კანონი ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოების შესახებ. კანონპროექტი თვითმმართველობის შესახებ არსებობს ორი ალტერნატიული ვარიანტით. დღეს, როცა შესამჩნევად დაიძაბა ვითარება პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების გადატანის იდეის გარშემო, ეს კანონები საგანგებოდ მნიშვნელოვანია. მათი უქონლობა შეიძლება გადამწყვეტი გახდეს არჩევნების გადატანის იდეის სასარგებლოდ.

არ ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო ძალზე გამოუცდელი ვართ, რათა სამართლებრივი ნორმებისაგან გადახვევა უმტკივნეულო აღმოჩნდეს. უფრო სამართლიანი იქნება, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები, სტაბილურობის მიზნით (მომჭირნეობისთვისაც), 1995 წლის 12 ივნისს ჩავატაროთ. ასე რომ, კანონების მომზადების დრო, როგორც გინდა შეხედეთ, შეზღუდულია.

რაო, არსებობს ასეთ რთულ სიტუაციაში აზრი და ძალები სამიტინგოდ? იმედი მაქვს, რომ ყოველ ჯანსაღად მოაზროვნე პოლიტიკოსის პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი იქნება.

ივანე რიბკინი,
სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, „მოსკოვსკიე ნოვოსტი", № 40, 1994 წლის 18-25 სექტემბერი.

ინფორმაცია

ემზადებიან კონგრესისათვის

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოწვევით თბილისს ეწვია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატი, რუსეთის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარე, აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი ვიტალი სავიცკი.

ბატონი სავიცკის ვიზიტის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის კონგრესის საორგანიზაციო საკითხების შეთანხმება ედპ-ის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმთან. კონგრესი საქართველოში უნდა გაიმართოს.

სტუმარი შეხვდება საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატების“ წევრებს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

დღეს, 12 საათზე, ედპ-ის შტაბბინაში (რუსთაველის, 21) გაიმართება ბატონების სავიცკისა და გიორგი ჭანტურიას ერთობლივი პრესკონფერენცია.

ედპ-ის პრესცენტრი.

ეძღვნება ირაკლი აბაშიძეს

ბათუმში გაიმართა ირაკლი აბაშიძის ხსოვნის საღამო. ქართული ლიტერატურული თეატრის „ოქროს საწმისის“ დასმა აქ წარმოადგინა სპექტაკლი გამოჩენილი ქართველი პოეტის ნაწარმოებთა მიხედვით.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის დარბაზში შეკრებილთ მიესალმნენ პროფესორი გურამ შარაძე, ქართველი მწერლები.

საღამოს ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, ირაკლი აბაშიძის ოჯახის წევრები.

ახალი ახალგაზრდული გაზეთი

საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის კავშირის [illegible]ცენტრის ცნობით რესპუბლიკის იუსტიციის სამინის[illegible] რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის კავშირის დამოუკიდებელი ახალგაზრდული გაზეთი „სიყვარული და მონატრება“. გაზეთის რედაქტორია ეკა აბულაძე. ახალგაზრდულ გაზეთს ოქტომბრის ბოლოსთვის მიიღებენ.

აქცია შეწყდა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 6 ოქტომბერს, ცნობილი სპორტსმენის სარსანიას ჭირისუფლებმა და ფოთის სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა — დაახლოებით 900 მოქალაქემ, გადაკეტეს რკინიგზა და ქალაქ ფოთში შესასვლელ-გამოსასვლელი საავტომობილო გზა მე-7 კილომეტრზე, აგრეთვე — მალთაყვის ავტომაგისტრალი.

აქციის მონაწილენი მოითხოვდნენ ზურაბ სარსანიას მკვლელების დროულ დაკავებას და დასჯას.

ქალაქ ფოთის მერიის, სამართალდამცავი ორგანოებისა და კომენდატურის თანამშრომლებთან შეხვედრის შემდეგ, აქცია შეწყდა.

„იმედის“ ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. კოდორის ხეობაში გრძელდება სამხედრო ტექნიკის ძებნითი ოპერაცია, რომელსაც რუსეთის შეიარაღებული ძალები ქართველ და აფხაზ დამკვირვებლებთან ერთად ახორციელებენ. უკვე აღმოჩენილი და განადგურებულია ერთი გაუმართავი ტანკი და საზენიტო ჭურვები. რაიმე კონფლიქტი ადგილობრივ სვანურ მოსახლეობასთან არ მომხდარა.

სოხუმი. სულ უფრო მწვავდება ვითარება აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების ვადების მოახლოებასთან დაკავშირებით. ტარდება მიტინგები, კრებები, რომლებზეც იღებენ რეზოლუციებს — არ დაუშვან ლტოლვილთა დაბრუნება თავიანთ სამშობლოში. აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებების ლიდერები კი გეგმავენ პარტიზანული ომის განახლებას, როგორც ლტოლვილთა, ისევე რუსეთის სამშვიდობო ჯარების წინააღმდეგ.

გალი. აფხაზთა მხარე კვლავ აგრძელებს მდინარე ენგურის მიმდებარე სანაპიროს დანაღმვას. 5 ოქტომბერს ნაღმზე აფეთქდა 2 ადამიანი, რომლებიც ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოში მოათავსეს.

გერმანული კულტურის დღეები

„...ცხოვრება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!“

რუსთაველის სახელობის თეატრის უზარმაზარი დარბაზი ორივე საღამოს სავსე იყო მაყურებლით, განსაკუთრებით სჭარბობდა ახალგაზრდობა, ისინი მოვიდნენ ვაიმარის ცეკვის თეატრის გასაცნობად, რომლის შესახებ აქამდე მხოლოდ გადმოცემით გვსმენოდა, ახლა კი, ყველას შესაძლებლობა მოგვეცა უშუალოდ გავცნობოდით მათ სპექტაკლს — „ლუიზიანა მამა“.

ჩემი აზრით, სწორად მოიქცნენ საქართველოში გერმანიის კულტურის დღეების მესვეურნი, რომ პროგრამაში სწორედ ეს თეატრი ჩართეს, მათ ზუსტად განჭვრიტეს ქართველების გამორჩეული სიყვარული საცეკვაო ხელოვნებისადმი.

თუმცა, ქართველებს თავად აქვთ კარგი ცეკვაც და თეატრიც, კარგად ესმით მათი ყადრი და განსაკუთრებით აფასებენ თუ სადმე საინტერესოს ნახავენ ამ თვალსაზრისით, თუკი არ მოეწონათ, მათ ვერავინ დააკავებს დარბაზში. ვაიმარის ცეკვის თეატრის სპექტაკლმა კი გაიტაცა მაყურებელი. იგი არავის დაუტოვებია მსვლელობისას, დამთავრების შემდეგ კი „ლუიზიანა მამას“ მონაწილენი მაყურებელმა რამდენჯერმე გამოიხმო გულითადი ტაშით ავანსცენაზე, ე. ი. მათ გულწრფელად მოეწონათ ქორეოგრაფ იოხიმ შლიომერის დადგმული სპექტაკლი, რომელიც არ წარმოადგენს არც ბალეტს და არც თეატრს, მასში არის ორივე და მაინც აქვს საკუთარი იერი — მართლაც ორიგინალური, ახალი და თანამედროვე, მუსიკალური და ქორეოგრაფიული „ენის“ ერთბაშად მომცველი.

შლიომერის ესთეტიკა, მისი განსაკუთრებული გრაფიკა ნოვატორ შემოქმედს წარმოაჩენს, რომელმაც შეძლო შეექმნა მუსიკალური მხარის (სპექტაკლში გამოყენებულია ელვის პრესლის, ტექს რიტერისა და ლუი ამსტრონგის მუსიკა) ადეკვატური საცეკვაო სტილისტიკა, იგი თავის თავში შეიცავს და აერთიანებს კლასიკური და თანამედროვე საცეკვაო აზროვნების სინთეზს.

პირველივე სცენიდან მაყურებლის თვალწინ იშლება მასობრივი ქმედება, რომელშიც ყოველ პერსონაჟს თავისი პლასტიკური ენა და ინდივიდუალური სათქმელი აქვს. მოქმედება მიმდინარეობს ამერიკის სამხრეთში და გვიჩვენებს ფრანგი ემიგრანტების შთამომავლების — კაჟუნების ყოველდღიურ ყოფას, რომელიც თავიდან ნათელ ოცნებებს, სიცოცხლის სიყვარულს, თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლას ემყარება, ისინი ბედს როდი ეპუებიან, ბედისწერას ეჭიდებიან, მაგრამ საოცრად დრამატული ფინალი აქვს სპექტაკლს, განსაკუთრებით ხმიანებს ამ ტკივილთაგან ემიგრანტის მიუსაფრობა უცხოობაში, „სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული?“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

შლიომერს თავისი მოცეკვავეების სახით ჰყავს შესანიშნავი თანამოაზრენი, რომლებიც განსაცვიფრებელი სიმსუბუქითა და სახიერი ამოცანების მძაფრი შეგრძნებით გამოირჩევიან, ყოველი მათგანი, ცეკვის საშუალებით ავლენს ემოციისა და აზროვნების უფაქიზეს ნიუანსებს, გადმოცემის უნარს. აი ეს მოცეკვავენიც: ქრისტიანა ბატისტელა, იოჰანნეს კასპერჩაკი, დორის ლამაჩი, გეორგ ლინჰარდი, ოლივია მარიდიანკოოპი, პაულა მორეირა, ლივია პატრიცი, ფაბიო პინკი, მარია პირე, როზემარი პორტა, როდოლფო სეას-არაია, გრაჰამ სმიტი, ნორბერტ შტაინვარცი, მარტინ შტრაიხერი, — მომხიბლავია მათი არაჩვეულებრივი ტექნიკა, პლასტიკურობა, ვირტუოზული მოძრაობა.

ეფექტურია დეკორაციებისა და კოსტუმების ავტორის ფრანკ ლაიმბახის ნამუშევარი, ის გარემო და ატმოსფერო, რომელიც სცენაზე გათამაშებული მოვლენების დრამატიზმს გამოჰკვეთს, — ლითონის ვერცხლისფერი კედლები, თუთიის აბაზანა (!), რომელიც სპექტაკლის ფინალში კუბოს ფუნქციასაც კი ასრულებს, და ცივი ბრწყინვალებით აღბეჭდილ დრამატულ სამყაროს გამოხატავს. ვერც წარმოვიდგენდით, რომ თეატრალურად ასე გამომსახველი იქნებოდა ჩვეულებრივი ტორფი, რომლის სქელი ფენითაც არის დაფარული სცენური ფიცარნაგი, მისი ფერი და ფაქტურა სცენაზე მიმდინარე მოვლენების დრამატულ სიმძაფრეს კიდევ უფრო აძლიერებს.

ყველაზე მეტად კი გერმანელების თამაშში მოსაწონია და განსაკუთრებით ღირსეულად მიმაჩნია ის, რომ გერმანელებმა შეძლეს ფრანგული სულის ღრმა და სათუთი გადმოცემა, მერაბ მამარდაშვილი რომ ლაპარაკობს აი, იმგვარი ცხოვრების ფრანგული ყაიდა დომინირებს სცენაზე — „იცხოვრო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, უკანასკნელ შესაძლებლობამდე, სავსედ, მძაფრად: **ის კი არა თავისუფლებაზე თეორიები აშენო, არამედ თვით თავისუფლება იცხოვრო**“.

სპექტაკლის შემდეგ გავესაუბრეთ ზოგიერთ მაყურებელს, გთავაზობთ სამი მათგანის აზრს ვაიმარის ცეკვის თეატრის სპექტაკლზე „ლუიზიანა მამა.“

ნელი ამაშუკელი, გერმანისტი: ჩემზე არაჩვეულებრივად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა სპექტაკლმა. ჩანს, ძალიან დიდი შრომის ფასად არის იგი შექმნილი და ამითაც დასაფასებელია. საოცრად მეტყველი მოძრაობა და პლასტიკა აქვთ მსახიობებს, თითოეული ნამდვილი ვირტუოზია ამ მოძრაობაში, ის რომ ახალგაზრდებს სურთ რაღაც ახალი შექმნან სცენაზე, თავისთავად მრავლისმეტყველია. მართალია, არც კლასიკური ბალეტის მიმდევრები ჩანან და არც ჟორჟ ბალანჩინის ბალეტისა, მაგრამ ჩემი აზრით, ზოგიერთ სცენაში აშკარად იგრძნობა ბალანჩინთან სიახლოვე.

ამ სანახაობის ტრაგიკულმა დასასრულმა განსაკუთრებით სწორედ ახლა იმოქმედა ჩემზე, როცა ემიგრაციის ასეთი მძლავრი ტალღა დაიძრა საქართველოდან, მე იმათზე არაფერს ვამბობ, ვინც ცოდნის გასაღრმავებლად არის წასული, მხედველობაში მყავს ისინი, ვისაც დაბრუნებაც აღარ სურს, ყველა დაფიქრდა: უცხოობაში სიამეს იქნებ სჯობს, რომ მშობლიური მიწა გეყაროს გულზე — აი ასეთი ფიქრი აღმიძრა ამ დადგმამ.

გიორგი შენგელაია, კინორეჟისორი: კონცეპტუალური ხელოვნების საინტერესო ნიმუში ვიხილეთ გერმანელთა სპექტაკლის სახით. მართალია, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ცოტა უცხოა მისი ესთეტიკა, იგი არ არის არც პირწმინდად საბალეტო და არც თეატრალური წარმოდგენა, მაგრამ, როგორც მაყურებლის რეაქცია ცხადყოფს, ცეკვის თეატრის ეს ახლებური ჟანრი უაღრესად მიმზიდველი აღმოჩნდა.

მე უემოციო ხელოვნება არ მწამს, ჩემთვის ამ წარმოდგენის ფასი სწორედ ემოციურობაშია, ადამიანის სულის, მისი ვნებების ურთულესი მოზაიკა ცეკვის ხელოვნებით უაღრესად მეტყველად არის გამოსახული.

სოსო ბარდანაშვილი, კომპოზიტორი: აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი სანახაობით, სრულიად უჩვეულო წარმოდგენაა, იგი საოცარი შინაგანი ესთეტიზმით არის გაჟღენთილი. შლიომერის კონცეპტუალური საცეკვაო ჯგუფის ქმნილება ჩვენთვის უცხო და ძალზე სასარგებლოა, იმიტომ, რომ ვეზიარეთ სრულიად ახალ საცეკვაო კულტურას. ვიცნობდით ესპანურ, ფრანგულ სკოლას, ჩემთვის აღმოჩენა იყო გერმანელთა ცეკვის თეატრი, როგორც პროფესიონალი, განსაკუთრებით მიმიზიდა მუსიკალურმა მხარემ, რადგან აქ თავმოყრილია მთელი პლანეტის სხვადასხვა ჟანრის მუსიკისა და ჯაზის მარგალიტები. ინტონაციებისა და რიტმების ამგვარი სიმდიდრე საოცარ სიცოცხლისუნარიანობას და ელვარე ფერადოვნებას ანიჭებს მთელ სანახაობას.

P. S. ძალიან ძნელია ერთი სპექტაკლით ამომწურავად იმსჯელო ვაიმარის ცეკვის თეატრის ბუნებასა და ესთეტიკაზე, გაცილებით საინტერესო იქნებოდა სხვა ნამუშევრების (მათ კიდევ სამი სპექტაკლი ჰქონიათ რეპერტუარში) გაცნობის შესაძლებლობაც რომ მოგვცემოდა, მაგრამ ეს, ალბათ მომავალი შეხვედრების დროს მოხერხდება.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: სცენა ვაიმარის ცეკვის თეატრის სპექტაკლიდან „ლუიზიანა მამა“
ჯავარ ლომაძის ფოტო.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

გივი ბერაძე

ახალი ათონის მღვიმეში

აქ მჭდარა მარადისობა
და მილიონი წელი
უძერწავს მართლაც ღვთიური
და ჯადოქრული ხელით.

ხახადაფჩენილ უფსკრულში
შესჯიდებია უკუნს
სტალაგმიტების სანთლებით,
სტალაქტიტების ბუკით.

ახლა... შემკრთალი შრიალებს,
ცრიატ აწმყოში ბრწყინავს.
ტანში გვცრის, ფიქრებს გვისველებს,
მილიონი წლის წვიმა.

აქ მჭდარა მარადისობა
და მილიონი წელი
უქმნია მართლაც ღვთიური
და ჯადოქრული ხელით.

...ივერიის მთას დაჰბრუნავს,
მაღლით ტრიალებს ქორი.
მოგყვება განცდა უჩვევი —
მიუწვდომელის, შორის...

შვილიშვილის აკვანთან

გათენიისას,
ოდეს ნათელი მშვიდად დაუსხლტა წყვდიადის კლანჭებს,
თვით შემოქმედმა პაწია ყელზე შენ ჩამოგკიდა
სიკეთის ჯაჭვი.

მერმე განათდა ბებერ მიწაზე სავალი გზები —
სწორიც და მრუდიც,
მოგაცილებდნენ ანგელოზები, ქერუბინების გალობდა გუნდი:

„დაიძინე, პაწაწინავ, დაიძინე მშვიდად,
შენს ტუჩებზე ღიმი ბრწყინავს იდუმალი, წმიდა.
ათასი გზა ქვს, ათასს გავხარ, მაგრამ მაინც სხვა ხარ, —
არვინ უწყის, რა გზით მოხველ, რომელი გზით წახვალ.
ცეცხლის ცოფს ჰყრის რკინის ჰუნე, ცაში ადის კვამლი,
მიჭენაობს საუკუნე, სრბოლის ჟინით მთვრალი.

აიწყვიტა ანტიქრისტემ!.. მაგრამ მრავალს იხსნის
პური — შენი ხორცისა და სასუმელი — სისხლის.

მზით გავსება დაგებედა, გარინდება — მთვარით:
ღმერთმა შენთვის გაიმეტა სიყვარულის ჯვარი!
ქანც გააცლის ბევრჯერ მუხლებს მისი რწმენით ზიდვა,
მაგრამ ვერსად გადაუხვევ მათ დანაღმულ გზიდან.
და დღე დღეზე გემატება, მახარია, მამა,
მზეს და მთვარეს ენატრებათ შენი ერთი ნახვა.

ათასი გვავს, ათასს გავხარ, მაგრამ მაინც სხვა ხარ, —
არვინ უწყის, რა გზით მოხველ, რომელი გზით წახვალ“.

ფერისცვალება

მხატვარ პეტრე ცქვიტარიას ხსოვნას

დაეცა გაგრა.
მერე სოხუმიც
ცეცხლში ჩაინთქა და გაუცხოვდა.
და ამბოხების ნიშნად — ბომბის
ხიბლი დაღლილმა გულმა უწყოდა.

და თუ სიცოცხლე ჩვენი — ტანჯვაა,
შენ ტანჯვის წამში ჩაგიქრა იგი
და ყველაფერი წამსვე დაჭამდა —
მარადტანჯულის ატარებ გვირგვინს.

არავინ იცის, ხვალ რა იქნება
და ბედისწერა ვის რას გვიმზადებს,
ვისი სურვილი სად ჩაიმქრქვევა,
ვინ მიაგორებს გორგალს მიზნამდე,

ვის გაუწყდება, წინმავალს, ძაფი,
ვის — ელვის ყულფით გაეკვანძება,
ან დრო, ქართველის პულსივით მძაფრი,
ვის სისხლს აინთებს რწმენის ზანძრებად;

ვინ — შიშით — ფრთათა ატეხავს სავსავს
და ვინ — ბოლომდე გაიხარჯება
ვისი — იალებს გრძნობებით სავსე
სული, რომ წასვლას ერქვას — დარჩენა.

ვინ — ქაოსიდან გამოიხედავს
ვით გოლგოთიდან და როგორც ქრისტე,
ცად ამაღლდება... და ბრბოც მიხვდება,
რომ სჯულისმდებლის წმიდა კვალს მისდევს.

შენც ხომ... არასდროს დახურდავდები
და მტრის ჯინაზე ივლი ამაყად
და ვით „თბილისის სახურავები,“ *.
მიაჩერდები მთვარეს ამაღამ.

წამით იმსხვრევა საფლავის თალი,
აახვეცებენ რიალს ქარები
და მიგაქროლებს უფლისკენ — დაღლილს —
ცრუაკაცია — იალქანივით.

ქ. თბილისი,
14.07.94წ.

* პ. ცქვიტარიას ნახატების სერია.

ზღაპარი გრძელდება

ექვსი წლის მარიამ ცხაკაია ამ დღეს მოუთმენლად ელოდა. მან წინასწარ მოამზადა ლამაზი ჩანთა, შიგ ჩადო მშობლიური დედა ენა, მუსიკისთვის — ნოტები, ხატვისთვის — ფლომასტერები, ცეკვისთვის — პატარა წუღები. ეს ყველაფერი მას სჭირდება თბილისის პირველ დამოუკიდებელ ეროვნულ სკოლა-გიმნაზიაში, სადაც უკვე პირველ კლასში ასწავლიან არა მარტო წერა-კითხვას, არამედ ხატვას, მუსიკას, ცეკვას...

როდესაც პატარა მარიამმა დაინახა საკლასო ოთახში მომღიმარი მარინა მასწავლებელი ყვავილებით ხელში, იგი მიხვდა, რომ ჯადოსნური ზღაპარი დაიწყო...

— ჩვენ ძალიან გვინდოდა, რომ მარიამს ამ გიმნაზიაში ესწავლა, — ამბობს მისი ბებია, აკადემიკოსი გულიკო ჩაფიძე. — ამ სასწავლებელმა უკვე დიდი სიყვარული დაიმსახურა. მეორე კლასიდან აქ სწავლობენ — ინგლისურს, მესამედან — რუსულს, მეოთხედან — გერმანულს, მეექვსედან — თურქულს ან სპარსულს. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბავშვებს ასწავლიან რელიგიის ისტორიას.

— საინტერესოა, ვინ ასწავლის ამ საგნებს ბავშვებს? — ამ კითხვით ჩვენ მივმართეთ გიმნაზიის დირექტორს ბატონ გია გელაშვილს.

— მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. ბევრი ჩვენი მასწავლებელი ამავე დროს უნივერსიტეტში მუშაობს. ასე მაგალითად, უნივერსიტეტის პრორექტორი რისმაგ გორდეზიანი ამაყობს იმით, რომ პატარებს მითოლოგიას ასწავლის.

— სწავლა თქვენს გიმნაზიაში ალბათ ფასიანია?

— დიახ. 200 დოლარი წელიწადში. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ სრულიად დამოუკიდებლები ვართ, არავინ გვაფინანსებს. ჩვენ ავიღეთ ლიცენზია, დავიქირავეთ შენობა, მოვიწვიეთ მასწავლებლები.

— რა პროგრამით მუშაობთ?

— მეცხრე კლასამდე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებია, ბავშვი ეუფლება ხუთ ენას, სწავლობს მუსიკას, თეატრისა და კინოს ისტორიას, მითოლოგიას, აიკიდოსაც კი. ეს არის კარატეს ერთ-ერთი სახეობა. მეათე-მეთერთმეტე კლასები იმუშავებენ მოსწავლეების ინტერესების მიხედვით. დღეს ყველაზე დიდი კლასია —მეშვიდე. ასე რომ, წინ დიდი ასპარეზი გველის. მთავარია მონდომება და პროფესიონალიზმი.

ამ დროს ზარმა დაიწკრიალა. პატარა მარიამისთვის და მისი თანატოლებისთვის ჯადოსნური ზღაპარი გრძელდებოდა...

დათო ჩიქოვანი,
საქინფორმის კორ.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვება საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ კალანდაძე

ახალი მიმდინარეობის ფუძემდებლები

ჭადრაკის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები, რომელიც მე-19 საუკუნეში ჩამოაყალიბა მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვილჰელმ სტეინიცმა, ხოლო ლასკერმა კლასიკურ მიმდინარეობად მონათლა, მე-20 საუკუნის დასაწყისში გარკვეულწილად კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კაპაბლანკას, ნიმცოვიჩის, რეტის შემოქმედებამ რადიკალური ძვრები გამოიწვია. დაიწყო ღირებულებათა გადაფასების ეპოქა.

ახალი ნეორომანტიკული, ჰიპერმოდერნისტული სკოლის ფუძემდებლად მოგვევლინენ ნიმცოვიჩი, რეტი, ბრეიერი. არონ ნიმცოვიჩმა თავისი ახალი შეხედულებები წარმოაჩინა ცნობილ შრომებში „ჩემი სისტემა“ (1925 წ.) და „ჩემი სისტემა პრაქტიკაში“ (1929 წ.) ცოტათი ადრე კი — 1921 წელს ვენაში გამოვიდა რიჰარდ რეტის ნაშრომი „ახალი იდეები ჭადრაკში“. რეტი საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ, ახალგაზრდებს გვაინტერესებს არა წესი, არამედ გამონაკლისი“.

მოდერნისტების მიერ წამოჭრილი პრობლემებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად ცენტრის პრობლემა უნდა მივიჩნიოთ. კლასიკური მეთოდია ცენტრის დაპყრობა პაიკებით. თანამედროვე მიდგომა ამას არ უარყოფს, მაგრამ მასში კორექტივები შეაქვს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მსუბუქი ფიგურების ზემოქმედება ცენტრზე. ამ მოძღვრებას გარკვეული წვლილი მიუძღვის ახალი სადებიუტო სისტემების შექმნაში, როგორიცაა: რეტის დებიუტი, გრიუნფელდის დაცვა, ალიოხინის დაცვა.

ჰიპერმოდერნიზმი დიდი თემაა, ამიტომ უმჯობესია ვნახოთ ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი პარტია (იხ. დიაგრამა № 1).



ნიმცოვიჩი — ბილგი
სიცილიური დაცვა
კეჩკემეტი, 1927 წ.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 ლc7 4. c3 a6 5. კa4 მf6 6. ლe2 e5 7. 0-0 კe7 8. d4 cd 9. cd მ:d4 10. მ:d4 ed 11. e5 d3 12. ლe3! მd5 13. ლg3 g6 14. კb3 მb4 15. კ:f7! მფd8 16. კh6 მc2 17. მc3 18. ლ:d3 ლ:e5 19. ეfe1 20. ე:e7! შავები დანებდნენ.

არონ ნიმცოვიჩი საჭადრაკო კომპოზიციის დიდი მცოდნე და მოყვარულიც გახლდათ. დღეს მკითხველს ამოსახსნელად ვთავაზობთ მის მეტად საინტერესო ეტიუდს (იხ. დიაგრამა № 2), სადაც



თეთრები ყაიმს აღწევენ. ამ მართლაც კლასიკურმა ნაწარმოებმა მსოფლიო საჭადრაკო პრესა შემოიარა. ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ გენიოსების ქმნილებები, ცალკე აღებული, ერთი მიმდინარეობის ვიწრო ჩარჩოში ვერ თავსდება.

რომანი

„კელნში“ კვლავ ახსოვთ რევაზ არველაძე

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ამა წლის თებერვალ-ივნისში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი რევაზ არველაძე გამოდიოდა გერმანიის ერთ-ერთ წამყვან კლუბში — „კელნის“ გუნდში. კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა თბილისელი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა, რომლის რიგებში მონაწილეობდა ევროპის სათასო ტურნირის მატჩებში. მაგრამ, როგორც ჩანს, „კელნში“ კვლავ ახსოვთ რევაზი.

4 ოქტომბერს მოსკოვის პოპულარულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“, აანალიზებდა რა ბუნდესლიგის ჩემპიონატში „ბავარიისა“ და „კელნის“ მატჩს (თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2), მიმოიხილა ორთაბრძოლის შესახებ, რომელშიც კელნელები წინ იყვნენ 2:0, შემდეგი ფრაზით დაამთავრა: „მატჩის შემდეგ განაწყენებულმა მორტენ ოლსენმა (ოლსენი „კელნის“ მთავარი მწვრთნელია) დაიჩივლა, ძალიან აკლია „კელნს“ რევაზ არველაძე, რომელიც საქართველოში წავიდაო“.

ზაფხული პოზიციებს არ თმობს

ამინდის ეროვნული სამსახურის ცნობით რესპუბლიკის ბარსა და მთებში კვლავინდებურად სითბო იქნება, თითქმის არ მოვა ნალექი. ასეთია ამინდის პროგნოზი კვირისთვის.

— დასავლეთ საქართველოს დაბლობში დღისით ჰაერის ტემპერატურა გათბება 28-33 გრადუსამდე ცელსიუსით, — თქვა რესპუბლიკის ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა. — ღამითაც კი თერმომეტრის სვეტი პლუს 19-24 გრადუსზე დაბლა არ დაეშვება. აგრილდება, და ისიც მხოლოდ ღამით, მაღალმთიანეთში — პლუს 7-12 გრადუსამდე, დღისით — 16-23 გრადუსამდე სითბო იქნება.

დასავლეთ საქართველოში
დის ზაფხულის იდილიას რამ
დმე დაარღვევს ქარი აღმოსა
თიდან. მისი სიჩქარე წამში
მეტრი იქნება, ზოგან კი შეიძ
20 მეტრსაც მიაღწიოს.

დაახლოებით 22-27 გრა
სითბო იქნება აღმოსავლეთ საქა
ველოს ბარშიც, ღამით აგრილ
12-17 გრადუსამდე. ორი-სამი გ
დუსით ნაკლები სითბოა მოსა
დნელი მაღალმთიანეთში, და
ლეთ საქართველოს იდენტურ
ლობ რაიონებში ჰაერის ტემპ
ტურასთან შედარებით.

ყურადღება!
გიწვევთ სასწავლებლად

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი 1994-1995 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას მოსამზადებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

სამედიცინო ფაკულტეტი:
სამკურნალო, პედიატრიული, სტომატოლოგიური;

იურიდიული ფაკულტეტი:
სამართლისმცოდნეობა;

უცხო ენების ფაკულტეტი:
ინგლისური, გერმანული ენა და ლიტერატურა;

ბიზნესისა და საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი:
საკურორტო, სამკურნალო და ტურიზმის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობისა და საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯერი;
კვების მრეწველობისა და წარმოების ორგანიზაციის ინჟინერ-ეკონომისტი.

მოსამზადებელ განყოფილებაზე წარმოებს როგორც აბიტურიენტების, ისე საშუალო სკოლის მე-11 კლასის და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამამთავრებელი კურსის მოსწავლეების მიღება. სწავლა დაიწყება 2 ნოემბერს.

მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №25.
ტელეფონები:
22-21-75, 37-55-20, 38-27-20

რექტორატი

გასულ წელს ქ. თბილისში, როგორც საქართველოში, ასევე მთელ კავკასიაში, პირველად მოეწყო საბერძნეთის სავაჭრო და მწარმოებელი ფირმების გამოფენა-გაყიდვა

გამოფენის ორგანიზატორ საბერძნეთის ფირმა „იუნიტრეიდ“-თან ერთად საქართველო-საბერძნეთის კულტურულ-კომერციული ცენტრი „ელადა“

წლეულს 30 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე
საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური და კომერციული გამოფენების ცენტრის ბაზაზე (წერეთლის გამზირი №118) კვლავ აწყობს გამოფენა-გაყიდვას საბერძნეთის და საქართველოს ფირმების მონაწილეობით.

ქართველ მეწარმეთა, ფირმების ორგანიზაციების საყურადღებოდ!
გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ბერძენი და უცხოელი დამკვეთებლები, რომელთა დიდ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს ბაზრის გაცნობა.
თვალყური ადევნეთ სარეკლამო განცხადებებს, რომლებსაც ამ დღეებში გამოფენა-გაყიდვის ორგანიზატორები შემოგთავაზებენ.

ჩვენი ტელეფონებია:
29-48-34, 29-47-33, 29-91-13.

მცირე შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთობლივი საწარმო
„ელადონი“
გთავაზობთ:
აფეთქებისაგან დაცულ ელექტროდანადგარებს

1. ასინქრონული ელექტროძრავები;
2. მაღალი ძაბვის აპარატები;
3. ტრანსფორმატორები და კომპლექტური ქვესადგურები;
4. დაბალი ძაბვის აპარატები;
5. დაცვის აპარატები;
6. კომპლექსური მოწყობილობები და მართვის სადგურები;
7. კომპლექსური რეგულირებადი ელექტროგაყვანილობა;
8. კონტაქტორები: ვაკუუმის 3000 და 4000 თაობის, საჰაერო 6000 და 7000 თაობის.

ვიღებთ შეკვეთებს ახალი სახის ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების წარმოებისათვის.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ტელ: 5-61-85, 3-87-94,
კოდი: 867-22, ფაქსი 3-33-44.
ქალაქი ვლადიკავკაზი

რეკლამები დამზადებული
ფირმა „დრონის“ კომპიუტერულ ცენტრში.

საქართველოს პარლამენტის აპარატი იუწყება, რომ გარდა ვალა აპარატის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის მო გილის ნანა გურასაშვილის მამა
ალექსანდრე გურასაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

იყიდეთ!
ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე ორი ერთმანეთის მიმდე ბინა (საერთო ფართი 160 კვ.მ.), შესაძლებელია დაშენება
ტელ.: 98-64-72, 23-51-81.

მთავარი რედაქტორის მოადგილე რუსლან რ